ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი — კვირა, 4 — 5 იანვარი, 2020 №2 (8266) ფასი: 60 თეთრი

## ათენში ქართველმა ქარცვისას შუშის კარი ჩაამტვრია და გარდაიცვალა


გვ.5


გვ.5

## დავით მუმლაძის მკვლელობისთვის რუსთავში ზურაბ ჯღარკავა დააკავეს

# „ამდენი ტელევიზია აქვს „ოცნებას“ და მაინც აგებს საინფორმაციო ომს“


გვ.3

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ათას პარტია გადამხტარი ხალხი დაიყენეს გვერდით და მათ ვინ დაუჯერებს“

## „ივანიშვილს, გახარიასა და კალაძეს თავიანთი მოსამართლეები ჰყავთ“

მამუკა ტუსკაძე: „2019 წელი შეიძლება შეფასდეს „ქართული ოცნების“ ბოლო, ტრაგიკულ წლად“


გვ.4

## გიორგი გუგავა: „ვერც ლაშა ჩხარტიშვილს და ვერც ჩვენ გაგვტეხენ“




გვ.3

## თამარ ჩხეიძე: „რუსეთთან დიალოგი ოკუპაციის დასრულებას უნდა ეყრდნობოდეს“

## ავთანდილ დემეტრაშვილი: „ვადამდელ არჩევნებს არ გამოვრიცხავ“


გვ.3


გვ.2

„ივანიშვილი 20 ივნისიდან მოყოლებული რეპრესიებზეა გადასული, მაგრამ დიქტატურა საქართველოში არ გამოვა“


გვ.5

## შს მინისტრის მოადგილემ მეხანძრე-მაშველები დააჯილდოვა და ახალი სახანძრო მანქანების პრეზენტაციას დაესწრო

ISSN 1987-9385

2 ნიკა გვარამია: „მოსამართლემ მუშაობა ამიკრძალა, „მთავარი არხის“ პარალიზება უნდათ“

5 წნორში მამაკაცმა დეიდა მოკლა

2 ზაქარია ქუცნაშვილი შეიძლება პარლამენტში დაბრუნდეს

6 აშშ-მ ბაღდადში ირანელი გენერალი ქასემ სოლეიმანი მოკლა

ირანი ამერიკას სასტიკი შურისძიებით დაემუქრა

# გიორგი გუგავა: „ვერც ლაშა ჩხარტიშვილს და ვერც ჩვენ გაგვტეხენ“

## „ივანიშვილი 20 ივნისიდან მოყოლებული რეპრესიებზეა გადასული, მაგრამ დიქტატურა საქართველოში არ გამოვა“

იაგო ნაცვლიშვილი

ლეიბორისტული პარტიის წევრი ლაშა ჩხარტიშვილი პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციაზე დააკავეს. აქციის მონაწილეები პარლამენტის შენობის წინ არსებულ ატრაქციონთან მიახლოებას და იქ 20 ივნისის აქციის ამსახველი ფოტოების დადებას აპირებდნენ. ამის საშუალება კი პოლიციამ არ მისცა, რასაც სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. ლაშა ჩხარტიშვილი ადმინისტრაციული წესით დააკავეს.

როგორ აფასებენ „ლეიბორისტულ პარტიაში“ ლაშა ჩხარტიშვილის დაკავებას? რა რეაგირება ექნებათ და რა მოლოდინი აქვს 2020 წლიდან? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი გუგავა** პასუხობს:




***– თქვენი პარტიის წევრი ლაშა ჩხარტიშვილი მორიგ ჯერზე დააკავეს. რა შეფასებას აძლევთ ამ ყოველივეს და რას აპირებთ მის დაკავებასთან დაკავშირებით?***

– ლაშა ჩხარტიშვილის მორიგი დაკავება მორიგი გამოვლინებაა ამ ხელისუფლების ამორალურობის, უზნეობისა და უკანონობის. ლაშა არის მშვიდობიანი პროტესტანტი, რომელიც იცავდა ერთი მხრივ გარემოვაჭრეების ინტერესებს, რომელსაც აიძულებს ხელისუფლება, რომ ამ ახალ წლებზე ამორალური საქციელი ჩაიდინონ. არც ერთი რეჟიმი არ ექცევა ასე თავის მოქალაქეებს სადღესასწაულო დღეებში. ეს არის ამორალური, უზნეო და უკანონო საქციელი ხელისუფლების მხრიდან.

სწორედ ხელისუფლების ამ ამორალური ქმედებების გამო დააკავეს ლაშა ჩხარტიშვილი. ბუნებრივია, ჩვენ ამის გამო არ გავჩერდებით და პროტესტი გაგრძელდება.

***– ორიოდე სიტყვა ამაზეც გვითხარით, როგორ ექცეოდნენ გარემოვაჭრეებს და რას აიძულებდნენ მათ?***

– მოგეხსენებათ, მათ აუკრძალეს ვაჭრობა ე. წ. საახალწლო სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რესპუბლიკის მოედანზე და აიძულებდნენ, რომ გადასულიყვნენ ხელოვნურად შექმნილ ადგილზე, სადაც ვითომ ატრაქციონები შექმნეს ხელოვნურად. მაგრამ რეალურად იქ არც ბავშვები მიუყვანია ვინმეს და არც არავინ გასულა იმ ადგილზე, სადაც ახალი წლის ღამეს შვილმოკლული მამის, მალხაზ მაჩალიკაშვილის კარავი აიღეს. ეს ადამიანი ითხოვს თავისი შვილის მკვლელის გამოვლენას 2 წელია. ხელისუფლება კი ცდილობს, რომ ეს ყოველივე ჩაახშოს ხელოვნური ფორმით და პროტესტის კერის დარბევას ცდილობდნენ და დაარბიეს კიდეც.

სურდათ, რომ დაეკავებინათ ეს გარემოვაჭრეებს და სწორედ ამას აპროტესტებდა ჩხარტიშვილი და იცავდა ერთი მხრივ მაჩალიკაშვილის ინტერესებსაც და, ბუნებრივია, გარემოვაჭრეების ინტერესებსაც.

***– რას აპირებთ? რას დაუპირისპირებთ მმართველი გუნდის ამ ქმედებებს, როდესაც კვლავ არ ერიდება პოლიტიკურ დაჭერებს?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ზაქარია ქუცნაშვილი შეიძლება პარლამენტში დაბრუნდეს

აძლევს თუ არა კანონმდებლობა ზაქარია ქუცნაშვილს პარლამენტში დაბრუნების შესაძლებლობას, ამაზე იურისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ქუცნაშვილის კვლავ საკანონმდებლო ორგანოში დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც უმრავლესობის წევრმა ოთარ ჩრდილელმა განაცხადა, რომ ის დეპუტატის მანდატს ტოვებს. ჩრდილელის შემდეგ, „ქართული ოცნების“ პარტიული სიით ადგილს სწორედ ზაქარია ქუცნაშვილი იკავებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებაში“ განუცხადეს, ქუცნაშვილი დეპუტატი ველარ გახდება.

მათი განმარტებით, საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, როდესაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქუცნაშვილი მაჟორიტარად აირჩიეს, მან პარტიულ სიაში ადგილი დაკარგა. შესაბამისად, ოთარ ჩრდილელის ადგილმონაცვლე არა ქუცნაშვილი, არამედ სიაში მისი მომდევნო კანდიდატი იქნება.

ზოგიერთი იურისტი „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში იმასაც აცხადებს, რომ ზაქარია ქუცნაშვილი საკანონმდებლო ორგანოში ხელმეორედ ველარ მოხვდება, რადგან მას დეპუტატის უფლებამოსილება ერთხელ უკვე შეუწყდა.

საპირისპირო მოსაზრება აქვთ საპარლამენტო უმრავლესობაში. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე გურამ მაჭარაშვილმა განუცხადა, მსგავსი პროცედურა, რომლის მიხედვითაც ქუცნაშვილი პარლამენტის წევრი ვერ გახდება, არც კანონსა და არც პარლამენტის რეგლამენტში გათვალისწინებული არ არის.

მაჭარაშვილის განმარტებით, ერთსა და იმავე მოწვევის პარლამენტში ორჯერ შესვლა შესაძლებელია. მისი თქმით, ოთარ ჩრდილელის ადგილმონაცვლის თაობაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა იმსჯელოს და კანდიდატურაც პარლამენტს მან უნდა წარუდგინოს.

კითხვაზე, კენჭისყრაზე დაუჭერს თუ არა ის ზაქარია ქუცნაშვილის კანდიდატურას, გურამ მაჭარაშვილი პასუხობს, რომ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. მაჭარაშვილი დარწმუნებულია, რომ ამ საკითხზე „ამდენი მსჯელობა საჭირო არ იქნება“.

თავად ქუცნაშვილი არ ამბობს, სურს თუ არა კვლავ პარლამენტში დაბრუნება, როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ამაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს, თუმცა საზოგადოებას მას შემდეგ გააცნობს, რაც ოთარ ჩრდილელს დეპუტატის უფლებამოსილება ოფიციალურად შეუწყდება.

– მე გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს, თუმცა საზოგადოებას ამას მას შემდეგ გავაცნობ, როდესაც შესვლის უფლება წარმომეშვება. ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც პარლამენტი ოთარ ჩრდილელის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე იმსჯელებს და გადაწყვეტილებას მიიღებს, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.



შეგახსენებთ, რომ ქუცნაშვილმა დეპუტატის მანდატის დატოვების გადაწყვეტილება 2019 წლის 21 ივნისს მას შემდეგ მიიღო, რაც მისი ორგანიზებით, მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის სხდომა თბილისში რუსი დეპუტატის სერგეი გავრილოვის ხელმძღვანელობით გაიხსნა. 20-21 ივნისის ღამის საპროტესტო აქციის შემდეგ, ქუცნაშვილმა დეპუტატის მანდატის დატოვება გადაწყვიტა.

# რძის ნაწარმი 13.5%-ით გაძვირდა, ხორცი -14.8%-ით, პური — 6.6%-ით, თამბაქო კი — 30.8%-ით

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ინფლაციის განახლებული მაჩვენებელი გამოაქვეყნა. დოკუმენტის მიხედვით, 2019 წლის დეკემბერში საქართველოში ფასების საერთო დონე 7%-ით გაიზარდა, რა ზომის ინფლაციაც ქვეყანაში 2017 წლის შემდგომ არ ყოფილა.

საქსტატის მონაცემებით, ინფლაციის ზრდაზე ყველაზე დიდი გავლენა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების გაძვირებამ გამოიწვია. ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ფასების მატება ასეთია:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 12.3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 3.78 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (31.9 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (14.8 პროცენტი), თევზეული (14.2 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (14.1 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (13.5 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (10.7 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (9.1 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (6.6 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (5.0 პროცენტი), ასევე ზეთი და ცხიმი (4.6 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 15.6 პროცენტით, რაც 1.03 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ფასები მომატებულია როგორც თამბაქოს ნაწარმზე (30.8 პროცენტი), ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე (3.1 პროცენტი);

დასვენება, გართობა და კულტურა: ფასები გაზრდილია 6.9 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.4 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა ტურისტულ მოგზაურობაზე (13.6 პროცენტი), დასვენების, გართობისა და კულტურის ხანგრძლივი მოხმარების სხვა საქონელზე (7.4 პროცენტი), ასევე გასართობ და კულტურულ მომსახურებაზე (1.8 პროცენტი);

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 2.9 პროცენტიანი მატება, რაც 0.35 პროცენტული პუნქტით აისახა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ჯგუფში ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (4.6 პროცენტი), პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3.5 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (1.2 პროცენტი);



სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ფასები მომატებულია 7.9 პროცენტით, რაც 0.34 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში.

ფასები გაიზარდა საზოგადოებრივ კვებაზე (9.0 პროცენტი).

# ნიკა გვარამია: „მოსამართლემ მუშაობა ამიკრძალა, „მთავარი არხის“ პარალიზება უნდათ“



„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია სოციალურ ქსელში საქალაქო სასამართლოში 3 იანვარს გამართულ პროცესს აფასებს.

გვარამიას თქმით, ხელისუფლების მთავარი მიზანი „მთავარი არხის“ პარალიზებაა.

„ჩემს პროცესზე დამხვდა ივანიშვილის მორიგი გასაბერი ზვიგენი გიორგი არევაძე. ეს ის მოსამართლეა, რომელიც მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის საქმეს იხილავს. ყოველ კვირას 2 პროცესი ჩანიშნა ერთი თვის განმავლობაში და პრაქტიკულად მუშაობა ამიკრძალა.

„მთავარი არხის“ პარალიზება და არასასურველი პირისთვის დროულად ყალბი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა – ესაა ამ ნაძირალა ფსევდომოსამართლის ამოცანა, – წერს სოციალურ ქსელში ნიკა გვარამია.

გამოძიების მტკიცებით, ნიკა გვარამიას მიერ საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა ვერ მიიღო 6.763.510 ლარი, რითაც საწარმოს დიდი ოდენობით ზიანი მიადგა.

# გურჯაანის პურის საცხობში მამა-შვილი უგონო მდგომარეობაში იპოვეს



გურჯაანში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირით მოწამლული მამა-შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა – ამის შესახებ ექიმი აცხადებს.

პურის საცხობში უგონო მდგომარეობაში მყოფი მამა-შვილი 3 იანვარს თანამშრომელმა იპოვა.

მძიმე მდგომარეობის გამო, ორივე თბილისში გადმოიყვანეს და მართვით სუნთქვაზე, რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

– ამ ეტაპზე ორივე მართვით სუნთქვაზე იმყოფება, კრიტიკულად მძიმეა ორივე. ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი დასტაბილურდება. არ ვიცით ანამნეზის და ინტოქსიკაციის ხანგრძლივობა, ნანახია გამთენიისას ორივე. როდის გახდნენ ცუდად, როდის დაიწყო ეს პრობლემები, არავინ არ იცის, – აღნიშნა მკურნალმა ექიმმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ამდენი ტელევიზია აქვს „ოცნებას“ და მაინც აგებს საინფორმაციო ომს“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ათას პარტია გადამხტარი ხალხი დაიყენეს გვერდით და მათ ვინ დაუჯერებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე** პასუხობს.

***– ბატონო ნიკოლოზ, 2019 წელი ერთ-ერთ რთულ წლად დასახელდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კუთხით. თქვენ რა საკითხებს გამოყოფდით ყველაზე მეტად, დადებითს და უარყოფითს?***

– დადებითს ნამდვილად ვერაფერს გავიხსენებ. ასეთი არაფერი მომხდარა. ქვეყანა მიდის უფსკრულისკენ. ისეთი არაფერი ყოფილა, რომ ხალხს შვება ეგრძნო. ჩვენ ვხედავთ, რომ ოკუპაცია გრძელდება. თუკი აქამდე მარტო რუსეთის ოკუპაცია იყო, ახლა აზერბაიჯანის მხრიდანაც გრძელდება ოკუპაცია. ნელ-ნელა დავითგარეჯი მთლიანად აზერბაიჯანს მიაქვს, ჩვენი პრეზიდენტი კი მადლობას უხდის აზერბაიჯანის პრეზიდენტს.

ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უმძიმესია, ხალხი საქართველოდან გარბის.

***– ივანიშვილმა, მე გიშოვით სამუშაოს, თუ წახვალთო.***

– დიახ, ამ პროცესს ხელისუფლებაც უწყობს ხელს და ხალხს ეუბნება, წადით და ვიზას და ბილეთებს ჩვენ მოგცემთო. მერე გვიკვირს, რატომ იკლავს ხალხი თავს. მთელი საქართველო სტრესშია, ხალხი სამსახურს ვერ შოულობს.

***– 2019 წლის მიწურულს ერთ-ერთ სერიოზულ სანქციად „ოცნების“ ფეისბუქგვერდების დახურვა დასახელდა.***

– ამ ტროლებთან დაკავშირებით ერთი რამ მინდა გავიხსენო. უმადურობა არის ყველაზე დიდი ცოდვა ამ ქვეყნად. ამ „ქართული ოცნებისთვის“ ხალხი ტყვიაზე მიდიოდა. ინფო 9-ის ჟურნალისტები ცემა-ტყეპაში იყვნენ, სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდნენ, რომ ესენი ხელისუფლებაში მოეყვანათ.

როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, ეგრევე სახლში გაუშვეს ეს ხალხი და დაუხურეს ინფო 9. დახურეს მე-9 არხიც და დატოვეს უმუშევრები.

***– ტროლებთან ეს რა შუაშია?***

– შე დალოცვილო, თუ მაინცდამაინც პროპაგანდისტული მანქანა გინდა ჩართო, იმ ხალხს მაინც დაუძახე, ვინც გვერდში გედგა ძნელბედობის ჟამს. ვიღაც ლაწირაკებს უხდი ამდენ ფულს, რომლებსაც არც არაფერი დაუწერიათ და არც არაფერი გაუკეთებიათ. ქრისტეს შეურაცხყოფით და უცენზურო სიტყვებით გამოიჩინეს თავი. აი, ასეთი ლაწირაკები და პროპაგანდისტები დაიყენეს გვერდში. მილიონი ლარი გადაიხადეს რეკლამებში და ერთი მილიონი ალბათ მათ ხელფასებში. რაში დაიხარჯა ორი მილიონი ლარი?!

ყველა სფეროში არაფრის მაქნისები არიან. ამდენი ტელევიზია აქვს „ოცნებას“ და მაინც აგებს საინფორმაციო ომს, აბსოლუტურად ყველა სფეროში. ეს იმიტომ, რომ უტვინოები ჰყავთ გარშემო. სისხლის მწოვლები ახვევია გარს ივანიშვილს და მაგასაც კი ვერ ხვდება. ყველა მარტო ფულის კეთებაზეა გადასული. გინდ ბოტები დაუძახეთ და გინდ ტროლები. ათას პარტია გადამხტარი ხალხი დაიყენეს გვერდით და მათ ჰგონიათ, რომ ამ ხალხისას დაიჯერებს მოსახლეობა?!

ხალხის გულის მოგება თუ უნდათ, მორალურად და ზნეობრივად სუფთა ადამიანებს მაინც დაუძახონ. შეიძლება ის ადამიანები ჰყავდეს „ოცნებას“ პროპაგანდისტებად, ვინც დღე და ღამე მიშასთან იყვნენ?! დღეს მიშას აგინებენ. მანამდე შევარდნაძესთან იყვნენ და მიშასთან რომ წავიდნენ, შევარდნაძეს აგინებდნენ. არ გაგიკვირდეთ, რომ ამ ბოტების და ტროლების შემქმნელები მალე „ოცნების“ და ივანიშვილის მაგინებლად მოგვევლინონ.

***– იმატა პოლიტიკური ნიშნით დევნამ, შევიწროვებამ. ძალიან გახშირდა თვითმკვლელობები.***

– ღმერთს დაუწყეს ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში. რაც უნდა თავი მოვიტყუოთ, ფაქტია, რომ ეკლესიები დაცარიელდა. წადით შაბათ-კვირას სამებაში და ნახავთ, რომ 20 კაცი თუ ესწრება პატრიარქის ქადაგებას. ამ პროპაგანდამ თავისი შედეგი გამოიღო. პლუს ამას სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ დაამძიმა ხალხის ყოფა, ადამიანები სტრესში არიან.

ადრეც ხშირად ვყოფილვართ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, მაგრამ ადამიანი რომ ღმერთს შორდება, ის თავს იკლავს. ძალიან მძიმე ფონია, ეკლესიასაც როგორ ებრძვიან. ხალხი უმძიმეს ვითარებაშია, ნაგვის ბუნკერებში იქექებიან, ელემენტარული პურის ფული არ აქვთ და ამ ფონზე მილიონს ვიხდით ნაძვის ხეში. კარგით რა, სირცხვილია!

***– არ უნდა დაედგათ, არ უნდა გაენათებინათ ქუჩები?***

– იმ მილიონის გადახდას, ბიძინას მოეტანა ერთი ნაძვი და დაედგა. ის მილიონი კი გაჭირვებულებისთვის დაერიგებინათ.

რუსთაველზე რომ გავივლი, ჰოლივუდში მგონია თავი. 500 ათასი დახარჯეს ილუმინაციებსა და განათებებში. საახალწლო განწყობას



ილუმინაციები კი არ ქმნის, საახალწლო განწყობას ქმნის ფინანსური მდგომარეობა! მაცივარი რომ ცარიელი გაქვს და შვილები რომ გეტყვიან, მამა, ახალ წელს საჩუქრები მიყიდეო და ფული არ მაქვს და ვერ ვყიდულობ, ილუმინაციები მიშველის?! ბრჭყვიალა ქუჩები შემიქმნის მე საახალწლო განწყობილებას?!

თუ რამის გადაფარვა უნდათ, ნაციონალებიო, გაჰყვრიან.

***– ეს აღარ მუშაობს?***

– აღარ მუშაობს. ჩოლოიანი მიშას პოლიციელი იყოო, ახლა გახდა მიშას პოლიციელი, დანაშაული რომ ჩაიდინა?! მანამდე არ იყო?! თავიდანვე მოიშორე. მიშაზე ლაპარაკი ამ ხელისუფლებისთვის, პირიქით, წამგებიანია და ამას ვერც ხვდებიან.

მიშა რომ ცუდი იყო, მიშას ხალხი რატომ გყავს ხელისუფლებაში?! შენ თუ ხარ კარგი, გააკეთე უკეთესი, აღარ შეგვიძლია ეს მიშა, მიშას ძახილი! მიშასაც ესენი აცოცხლებენ ამ თავისი გამოხდომებით.

ისეთი ხალხი ჰყავს „ოცნებას“ გარშემო, რომ სწორედ ამათმა დაღუპეს. ჯერ წითელი ინტელიგენცია დაიყენეს გვერდით, მერე ნაცზონდერები და კიდევ უკვირთ, ხალხმა ზურგი რატომ აქცია. დიქტატურის დამყარება უნდა ივანიშვილს და დიქტატურა ისეთ ქვეყნებში მყარდება, სადაც ხალხი მაინც არ არის მშიერი. ქვეყანაში, სადაც ხალხი შიმშილობს, დიქტატურას ვერ დაამყარებთ, ბატონო ბიძინა!

***– ეს არ გამოუვა?***

– არა. მშიერი ხალხი ყველაფერზეა წამსვლელი. რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი შიმშილით მოკვდება თუ ტყვია მოხვდება შუბლში! ნაცმოძრაობის გამო არ გამოდის ხალხი ქუჩაში, ეშინიათ, ისინი არ დაბრუნდნენო, მე მგონი, ბოლოს იქამდე მივა საქმე, რომ ხალხი ამ შიშს დაივიწყებს და ქუჩაში მასობრივად გამოვა. გაბრაზებული და მოტყუებული ხალხი ყველაფერზეა წამსვლელი. ამდენ ტყუილს და ამდენ გადაგდებას არავინ აღარ მოითმენს.

***– რას ველოდებით ამ ახალ 2020 წელში?***

– მე არ ვუყურებ ძალიან ოპტიმისტურად მომავალს. გემი რომ იძირება, მას პირველი ვირთხები ტოვებენო და ჩვენ ვნახეთ, რომ „ქართული ოცნება“ დატოვეს ვირთხებმა. იმ ხალხმა, რომლებიც ყველა მთავრობას ერგებიან. საქმე რომ კარგად იყოს, ზვიად ძიძიგური იქიდან გაიქცეოდა?!

როგორი იქნება მომავალი, ეს თავად ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. მე მინდა, რომ საქართველოში კიდევ ერთი რევოლუცია არ მოხდეს. ჩვენ ვნახეთ, რაც მოიტანა ვარდების რევოლუციამ – ყოველი მესამე ციხეში იჯდა, დაიწყო რეპრესიები და ცუდი გზით წავიდა ქვეყანა. ნამდვილად არ მინდა, იგივე განმეორდეს.

***– რაიმე რებრენდინგი, გუნდის გადახალისება, რაიმე სვლა დარჩა ივანიშვილს? ახალ კარუსელზეც მიდის საუბარი. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ამოწურა ყველა რესურსი. ერთგული ხალხი, ვინც მართლა მხარს უჭერდა, არ დააფასა, ქუჩაში გაყარა და ამას ხომ ყველა ხედავს. რა დაპირებაც იყო, საერთოდ არაფერი შესრულდა და მეტი რაღა უნდა თქვას და მოიმოქმედოს ივანიშვილმა, რომ ეს ხალხი თავისკენ შემოაბრუნოს?! ეს გამორიცხულია.

ვერც ერთი ერი ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ჩვენმა ერმა გაუძლო. 25 წელია, ვაებაში, გაჭირვებაში, შიმშილსა და მუდმივ ოკუპაციაშია ხალხი. კიდევ ამბობენ, ცუდი ერი ხართო, ვერც ერი ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ჩვენ გავუძელით. არც ჩანს გვირაბის ბოლოს სინათლე.

***– არ გაქვთ დადებითი პროგნოზი?***

– არა, სამწუხაროდ, დადებითის მოლოდინი არ მაქვს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ეს პერიოდი მახსენებს 2003 წლის ვარდების რევოლუციის წინა პერიოდს და მახსენებს 1991 წელს, როდესაც ზვიადმა ხალხი ქუჩაში გამოიყვანა.

***– მივდივართ სამოქალაქო დაპირისპირებამდე?***

– სამწუხაროდ, მივდივართ. ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლებებს დასავლეთი ცვლის ან რუსეთი და თუ ეს გადაწყვეტილია, ამას ხალხიც ვერ აღუდგება წინ.

# თამარ ჩხეიძე: „რუსეთთან დიალოგი ოკუპაციის დასრულებას უნდა ეყრდნობოდეს“

მარიამ მჭედლიშვილი



ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, **თამარ ჩხეიძეს.**

***– საკმაოდ მძიმე 2019 წლის ბოლოს ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ტყვეობიდან გათავისუფლდა ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი. მის გამოხსნას სხვადასხვა ახსნას უძებნიან. თქვენ რას იტყვით?***

– რუსეთი იძულებული გახდა, გაეთავისუფლებინა დაკავებული უდანაშაულო ექიმი. ეს მოხდა დასავლეთის ზეწოლით. თავისი წვლილი გათავისუფლებაში შეიტანა საქართველოს საზოგადოების ერთიანმა და საკმაოდ ცოცხალმა პროტესტმა. დასავლეთის დაწოლა და ეს პროტესტი რომ არა, მოსკოვი ამას არ გააკეთებდა.

***– ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლებას ახლდა კომენტარები. მათ შორის, დიპლომატის, ამჟამად სენატორ კარასინის მხრიდან. რუსეთში გამოთქვეს იმედი, რომ ეს ფაქტი გახდება საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგის დასაწყისი.***

– პრორუსული პარტიები ხალხში ამკვიდრებენ აზრს, თითქოს ისინი არიან კონსტრუქციულები და დიალოგი რუსეთთან მათ უნდათ, ოკუპაციის მოწინააღმდეგეები კი ამას კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით. სინამდვილეში, ნორმალურ პირობებში დიალოგი ყველას გვინდა. მთავარია ერთი რამ – რუსეთთან დიალოგი უნდა ეყრდნობოდეს ოკუპაციის დასრულების აუცილებლობის შეგნებას.

***– ეს არ იკვეთება?***

– რასაკვირველია, რუსეთიდან ამის მზაობა არ ჩანს. ამ სიტუაციაში დიალოგი საქართველოსთან სჭირდებათ იმისათვის, რომ საქართველომ აღიაროს შექმნილი რეალობა, ანუ შეეგუოს ოკუპირებული ტერიტორიების დაკარგვას. ჩვენ ასეთი კაპიტულანტობა არ გვინდა, თორემ, დეოკუპაციის პირობებში დიალოგის საჭიროებას ვგრძნობთ.

***– ოკუპაციის დასრულებისკენ რუსეთის პრეზიდენტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც მოუწოდა.***

– დიახ. მოვისმინე ეს საახალწლო მიმართვა. სხვათა შორის, პატრიარქს ყოველთვის ჰქონდა ეს პოზიცია. იგი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ოკუპაციას. მასზე დიდი ზეწოლაა, იგი ასაკშიც შევიდა. მიუხედავად ამისა, ამ საკითხში მისი უწმინდესობა ურყევია. ამიტომაც არის ის მიუღებელი რუსეთისათვის.

რუსეთი ყოველთვის ერეოდა და ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში, მათ შორის, საპატრიარქოს ამბებში. რუსეთს ურჩევნია, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური მოსკოვიდან მართული და მათ ხელში მყოფი იყოს. ამიტომ არის ამდენი თავდასხმა ეკლესიაზე.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ავთანდილ დემეტრაშვილი: „ვადამდელ არჩევნებს არ გამოვრიცხავ“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ავთანდილ დემეტრაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არ გამორიცხავს ვადამდელი არჩევნების დანიშვნას.

***– ბატონო ავთანდილ, წავა ხელისუფლება საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზე? გადავა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე?***

– პირველ რიგში, აუცილებლად მიმაჩნია დიალოგის გაგრძელება, რადგან ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი თუ არ არის, პოლიტიკური კრიზისის პირას ნამდვილად ვართ.

მე ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ ე.წ. გერმანული მოდელი მხოლოდ რამდენიმე, თანაც ჩამორჩენილ დემოკრატიულ ქვეყნებშია გავრცელებული. ასე ნამდვილად არ არის.

არ გამოვრიცხავ, რომ წელს არჩევნები ჩატარდეს შერეული, მოქმედი საარჩევნო მოდელით, მაგრამ შედეგები მიუღებელი აღმოჩნდეს ოპოზიციისთვის და ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს, რომელიც უკვე პროპორციული სისტემით ჩატარდება, რადგან ეს უკვე მოქმედ კონსტიტუციაშია ჩადებული. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი ამ ვარიანტს არ დათანხმდება მარტივი მიზეზის გამო, რადგან იქ უკვე აღარ არის გათვალისწინებული არც ნულოვანი ბარიერი და არც საარჩევნო ბლოკები.

მოგეხსენებათ, საარჩევნო ბლოკებისა და ნულოვანი ბარიერის დაშვება მხოლოდ ერთჯერადად იყო. უკვე 5%-იანი საარჩევნო ბარიერი შემოდის ძალაში.

მე მაინც მგონია, რომ გამოსავალი არის დიალოგში. ვვარაუდობ, რომ ხელისუფლება არის მზად, გარკვეულ დათმობაზე წავიდეს.

***– რა შეიძლება იყოს დათმობა?***

– არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლებამ უფრო გაზარდოს პროპორციული სიით ასარჩევ მანდატთა რაოდენობა, შესაბამისად, მაჟორიტარული შეამციროს. ამ შეთავაზებას შეიძლება ოპოზიცია დათანხმდეს, თუმცა ეს მოდელი ჩემთვის, როგორც კონსტიტუციონალისტისთვის, არასასურველი მოდელია. რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი და სწორი იქნებოდა მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, მაგრამ ამ შესაძლებლობას ვერ ვხედავ.

***– პროპორციულ სისტემაზე გადასვლა იმთავითვე ნიშნავს ხელისუფლების დაკარგვას? რატომ ვერ ელევა ვერც ერთი ხელისუფლება შერეულ საარჩევნო სისტემას?***

– თავისთავად შერეული სისტემა კი არ არის ცუდი. შერეული სისტემა მოქმედებს გერმანიაში, საფრანგეთში, რომ არაფერი ვთქვა დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე. იქ პროპორციული სისტემის გაგება საერთოდ არ უნდათ. ამდენად, თავისთავად სისტემა კი არ არის ცუდი, მისი გამოყენების პრაქტიკა და რეგულირება არასაკმარისია ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან ჩვენთან არ არის პარტიული სისტემა ჩამოყალიბებული, მოსახლეობის, ელექტორატის პოლიტიკური და სამართლებრივი დონე დაბალია და ა.შ.

***– და ორპალატიანი პარლამენტიც არ გვაქვს, რომელიც ამ ქვეყნებში არის.***

– რასაკვირველია. ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა 1993 წლიდან ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც ყველა ამ პრობლემას დააკმაყოფილებდა. მაჩვენონ ერთი საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც ერთპალატიანი პარლამენტია. ყველა საპარლამენტო რესპუბლიკაში ორპალატიანი პარლამენტი მოქმედებს.

***– ორპალატიანი პარლამენტი რას მოგვცემს?***

– გარდა იმისა, რომ ზედა პალატა დააბალანსებს ქვედა პალატის პარტიულ შემადგენლობას, წარმოდგენილი იქნებიან რეგიონები. გარდა ამისა, გვექნება შესაძლებლობა, შეთავაზება გავუკეთოთ განდგომილ რეგიონებს, ოსებსა და აფხაზებს.

***– გამოსავალს რაში ხედავთ?***

– გამოსავლის ორი გზა არსებობს: ერთი,



მმართველი გუნდი წავიდეს დათმობაზე და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავიდეთ. მეორე, წელს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს იმ რეგულაციებით, რომლებიც დადგენილია კონსტიტუციის გარდამავალ დებულებაში.

***– ვადამდელ არჩევნებს არ გამორიცხავთ?***

– ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რადგან ორივე მხარისთვის ეს მისაღები ვარიანტია. თუმცა, ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოს ან გაზაფხულზე, ან ზაფხულში. მერე უკვე აზრი არ აქვს, რადგან ოქტომბერში ისედაც კონსტიტუციით არის არჩევნები გათვალისწინებული.

# „ივანიშვილს, გახარიასა და კალაძეს უზენაეს სასამართლოში თავიანთი მოსამართლეები ჰყავთ“

## მამუკა ტუსკაძე: „2019 წელი შეიძლება შეფასდეს „ქართული ოცნების“ ბოლო, ტრაგიკულ წლად“

გულიკო ბალაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი, უფლებადამცველი **მამუკა ტუსკაძე** პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, რა კითხვები დატოვა 2019 წელმა, რა უნდა გამოსწორდეს?***

– 2019 წელი 2020 საარჩევნო წლის წინა პერიოდი იყო. 2020 წელს 8 წელი გადის „ოცნების“ მოსვლიდან, 8 წლისთავი ევროპის თანამეგობრობის აზრით, შეთანხმებით და ისედაც ის პერიოდია, როდესაც შესაძლებელია, ხელისუფლება შეიცვალოს. 2020 წელი მნიშვნელოვანი წელი იქნება. 2019 წელიც სწორედ აქედან გამომდინარე იყო მნიშვნელოვანი.

***– თუმცა, არაორდინარული სიტუაციაა – ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძვის ყოფილი სახელისუფლებო ძალა, რომელმაც ძალიან დიდი უარყოფითი კვალი დატოვა ჩვენს ცხოვრებაზე.***

– 2019 წელი შეიძლება შეფასდეს „ქართული ოცნების“ ბოლო ანუ ტრაგიკულ წლად.

***– ტრაგიკული რატომ?***

– გასული 7 წლის განმავლობაში რა შეცდომებიც ჰქონდა დაშვებული, ის ერთად აღებული 2019 წელს დაუშვა, ანუ წინა 6 წელი უფრო სუფთად იცხოვრეს, ვიდრე ბოლო ერთი წელი. ეს იმას ნიშნავს, რომ 2020 წელს, შეიძლება, „ოცნება“ ამ ფორმატში ვეღარ დარჩეს ხელისუფლებაში.

თუმცა, ვფიქრობ (შესაბამისი ინფორმაციაც მაქვს), რომ თავად „ქართულ ოცნებაში“ მოხდება ორი ჯგუფის გამოყოფა, რომელიც ერთმანეთში გაითამაშებს პოზიცია-ოპოზიციის ადგილებს. დღევანდელი ოპოზიცია, რომელსაც თითქოსდა ნაცმოძრაობა და მისი განშტოებები წარმოადგენენ, მესამე კატეგორიის ოპოზიციაში გადაინაცვლებენ, როგორც არის „პატრიოტთა ალიანსი“ და ისე იქნებიან ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“.

წელს არჩევნები მოქმედი კონსტიტუციით ჩატარდება. კიდევ რამდენიმე ძალა გადალახავს 3%-იან ბარიერს ბლოკებთან ერთად. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რამდენიმე ოპოზიციური ძალა იქნება წარმოდგენილი. 2020 წელს კოალიციურ მთავრობას ველოდებით. ამიტომ 2019 წელი კოალიციური მთავრობისთვის იყო გამიზნული.

***– რას ნიშნავს, გამიზნული იყო?***

– გამიზნული იყო, რომ სიტუაცია 2020 წლისთვის მოემზადებინა. 2019 წლის მოვლენები გამიზნული იყო. არა მარტო შეცდომებით იყო განპირობებული, არამედ ოცნების მხრიდან შეგნებული ქმედება იყო, რომ 2020 წლისთვის ნიადაგი მოემზადებინა. ამიტომ პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება, პრინციპში, უკვე ცნობილია.

ახლა მთავარია, 31 ოქტომბერი დროულად მოვიდეს. 1 ნოემბრიდან ჩვენ გვექნება უნიკალური შემთხვევა, კოალიციური მთავრობა, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი შემთხვევა იქნება. კოალიციური მთავრობა უფრო მეტის გაკეთებას შეძლებს, ვიდრე აქამდე არსებული მთავრობები.

***– გინდათ თქვათ, რომ 2019 წელს „ოცნებამ დაუშვა ისეთი პროცესები, რითაც გამოჩნდებოდა, რა ძალები მოქმედებდნენ და ძალთა როგორი თანაფარდობა იქნებოდა 2020 წლისთვის?***

– პოლიტიკა არის ხელოვნება. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ პოლიტიკაში ემოციებით კი არ მოქმედებენ, არამედ სცენარებით. პოლიტიკური სცენარით განისაზღვრა, 2019 პოლიტიკური წელი ყოფილიყო რთული და დაძაბული წელი ხელისუფლებისთვის, რომ 2020 წლისთვის შესაბამისად მომზადებულიყო.

2019 წლის შეჯამების კონტექსტში ვიტყვი – სასამართლო რეფორმა, მიუხედავად ბევრი ხინჯისა, ჩემი აზრით, მაინც წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ დღეს ჩვენ, პრაქტიკულად, პარალიზებულ უზენაეს სასამართლოში უკვე გვყავს მოსამართლეები. იმედია, დარჩენილი საქმეები, რომელთა განხილვას თვეები და წლებია ელოდებიან, განხილული იქნება და რაღაც გადაწყვეტილება მაინც იქნება მიღებული. შესაბამისად, უზენაესის შემდეგ კიდევ გვრჩება ევროსასამართლო, სადაც საქართველოდან 2020 წელს, ალბათ, ძალიან ბევრი საქმე წავა.

***– რატომ გგონიათ ასე?***

– უზენაესში ბევრი არაკვალიფიციური მოსამართლე დაინიშნა. ეს მაძლევს ამის ფიქრის საფუძველს.

***– არაკვალიფიციურობა როგორ გავიგოთ? უცოდინრობასთან გვაქვს საქმე თუ უფრო სხვა რამესთან?***

– რასაკვირველია, ცოდნა აქვთ, მაგრამ ცოდნას ძალიან ცუდად იყენებენ. უზენაეს სასამართლოში დანიშნული წევრების აბსოლუტური უმრავლესობა გავლენის მქონე ადამიანები არიან. მათზე გავლენა აქვს არა მარტო ბიძინა ივანიშვილს, არამედ მიხეილ სააკაშვილს, კახი კალაძეს, გიორგი გახარიასა და ყველა სხვა ლიდერს.

***– რით არჩევთ იმას, რომ ზოგი მოსამართლე სააკაშვილს ემორჩილება, ზოგი – ივანიშვილს, ზოგიც – კალაძესა და გახარიას?***

– „ქართულ ოცნებაში“ სამი ძლიერი გუნდია, პლუს ნაცმოძრაობის გუნდი, რომელსაც შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გარკვეული ძველი რესურსები აქვთ. კალაძეს ნამდვილად ჰყავს თავისი მოსამართლეები უზენაეს სასამართლოში. მათ სახელებსა და გვარებს გარკვეულ პერიოდში დოკუმენტურად წარმოვადგენ. ასევე გახარიასა და ბიძინა ივანიშვილსაც ჰყავთ თავიანთი მოსამართლეები.

თუნდაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის რეალური კანდიდატი, ყოფილი გენპროკურორი შალვა თადუმაძე, ბიძინა ივანიშვილის პირადი ადვოკატი იყო. შესაბამისად, ვერც ვერავინ იფიქრებს, რომ ბიძინა ივანიშვილის ინტერესების გამტარებელი არ იქნება უზენაეს სასამართლოში.

მაგალითად, ყოფილი გენპროკურორის მოადგილე ვასაძე უზენაეს სასამართლოში გახარიას ინტერესების გამტარებელი იქნება. გვრიტიშვილი და სხვები არიან კახი კალაძის ინტერესების გამტარებლები.

***– როგორ?***

– იმიტომ, რომ მათ მამამისთან კარლო კალაძესთან ჰქონიათ ურთიერთობა და მათ საერთო სახლობლო წრე ჰყავთ, მათი მშობლებიც ბიზნესპარტნიორები არიან. ასევე არიან ნინო სანდოძე და სხვები, რომლებიც წინა რეჟიმის დროსაც ასრულებდნენ ხელისუფლების დაკვეთებს და, ბუნებრივია, ისინი სააკაშვილის ინტერესების გამტარებლები იქნებიან.

***– რასაც თქვენ ამბობთ, იქიდან გამომდინარე. დღეს სასამართლო რამდენად თავისუფალია?***

– დღეს სასამართლო მართლა „თავისუფალია“ იმიტომ, რომ მოსამართლეები თავიანთი ლიდერების ინტერესების შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებებს. ერთ ლიდერს არ ემორჩილებიან, როგორც სააკაშვილის დროს იყო.

***– სწორედ იმიტომ, რომ ერთ ლიდერს არ ემორჩილებიან, ერთმანეთს გააკონტროლებენ?***

– არა, ყველა ინდივიდუალური მოსამართლე ინდივიდუალურად, ცალკე სტრუქტურაა. ასე უნდა განვიხილოთ. მოსამართლეთა შემადგენლობა ერთკაციანია თუ სამკაციანი, ცალკე სტრუქტურაა, ცალკე მმართველობაა. ასე რომ, ის თავის გადაწყვეტილებაში დამოუკიდებელია. ამ კუთხით კონკურენცია არ არის.

2020 წელს შეიცვლება იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესი, რადგან ეს სტრუქტურა ყველაზე მეტად ურეიტინგო ორგანიზაციაა მართლმსაჯულებაში. შესაბამისად, იუსტიციის საბჭო პატიოსანი ადამიანებით დაკომპლექტდება. ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალში მოსამართლეობის კანდიდატად პატიოსანი იურისტები იქნებიან წარმოდგენილი.

კოალიციური მთავრობა, რომელიც 1 ნოემბრიდან ქვეყანას სათავეში ჩაუდგება, იმ მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნის საკითხს გადახედავს. მოსამართლეები უვადოდ დაინიშნენ. შეიძლება, უვადოდ დანიშნული მოსამართლეები გამოთხოვილი იქნენ სასამართლოებიდან და კოალიციური მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი სტანდარტით მოხდეს მოსამართლეების ხელახალი დანიშვნები.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# თამარ ჩხეიძე: „რუსეთთან დიალოგი ოკუპაციის დასრულებას უნდა ეყრდნობოდეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– შიდაპოლიტიკურ ამბებსაც შევეხოთ. საახალწლოდ თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურმა აიღო პარლამენტთან გაშლილი საპროტესტო კარვები. ამას დიდი ხმაური მოჰყვა.***

– ოფიციალურად დაერქვა, რომ დასუფთავების სამსახურმა აიღო კარვები. რეალურად, ასეთ გადაწყვეტილებას პირადად ბიძინა ივანიშვილის გარეშე ვერავინ მიიღებდა. დოკუმენტურად ვერ დავადასტურებ, თუმცა, ამაზე ხმები დადის. მოარული ინფორმაციით, ივანიშვილს რუსთაველზე ჩაუვლია, კარვებისკენ გაუხედავს და უთქვამს, ესენი აქ აღარ დამანახოთო.

***– ხელისუფლება ოპოზიციას პარლამენტთან ბავშვებისთვის მოწყობილი საახალწლო ბატუტის დაზიანებაში ადანაშაულებს.***

– არ გამიკვირდება, რომ ამ საბაბით თუ მიზეზით ვინმე დააკავონ. ხელისუფლება ძალიან არის გათავხედებული. საახალწლოდ და საშობაოდ პროტესტანტებმა ტაიმ-აუტი გამოაცხადეს. ხელისუფლებამ ესეც ვერ აიტანა. ისეთი ამბები დაატრიალა, რომ ახალი წლის ღამეს სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა, ხალხის ნაწილი კი ახალ წელს პარლამენტის შენობასთან ხვდებოდა.

კარვების დაშლა, აქტივისტების კონვეიერული დაკავება, მათთვის სასამართლო პროცესების მოწყობა, თვალების დათხრა, სხვა რეპრესიები, არის ის მაქსიმუმი, რაც შეიძლება ავტორიტარულმა რეჟიმმა ამ ეპოქაში შეძლოს. რუსი ბოლშევიკები და ფრანგი რევოლუციონერები სხვა დროს ცხოვრობდნენ. ეს ხელისუფლება მათნაირია, იმავე ფენომენთან გვაქვს საქმე. უბრალოდ, ფორმებია სხვა, იმიტომ, რომ სხვა პირობებია, საქართველო არ არის გარესამყაროსგან იზოლირებული ქვეყანა და ამაზე სისხლიან მეთოდებს ვერ გამოიყენებს.

***– შარშანდელი წელი დატვირთული და დაძაბული იყო. არჩევნების მოახლოებით სიტუაცია არ განიმუხტება?***

– არჩევნები კიდევ უფრო ძაბავს ვითარებას. წინ დიდი ბრძოლებია. საით გადაწონის სასწორი, ძნელი სათქმელია. დიდი მნიშვნელობა ექნება დასავლეთის პოზიციას. რუსეთისა და პუტინის ფაქტორი რომ არა, ყველაფერი აბსოლუტურად ნათელი იქნებოდა. პუტინის ზურგი რომ არა, ივანიშვილი ქვეყნიდან გაქცეული იქნებოდა. მისი წასვლა მაშინვე დაშლიდა „ქართულ ოცნებას“. ეს ორგანიზაცია პოლიტიკური პარტიაც არ არის. ის ნაციონალურ მოძრაობასავით სახეს ვერ შეინარჩუნებს.

***– ფიქრობთ, რომ რუსეთს ივანიშვილი ჯერ კიდევ სჭირდება?***

– ვნახოთ, რა იქნება მომავალში. თუ პუტინის თვალში ივანიშვილი ისე მოფამფალდა, რომ მას ვეღარ დაეყრდნობა, მაშინ ის შეეგუება მის წასვლას. არა მგონია, ახლა საქმე მაგ სტადიამდე იყოს მისული. სანამ პუტინი ფსონს ივანიშვილზე დადებს, სხვაზე არ იფიქრებს. ეს ართულებს ბრძოლას ივანიშვილთან და მის ხელისუფლებასთან.

***– რუსეთი ახერხებდა ხოლმე ერთი ძალის მეორეთი ჩანაცვლებას.***

– ცხადია. პარალელურ და სათადარიგო ძალებს საქართველოში მოსკოვი აქამდეც ეძებდა. ეგაა, რომ პრორუსული ძალები ვერ ქაჩავენ.

***– ფსევდოდასავლურებს მოძებნის.***

– ესეც მოსალოდნელია. თავის დროზე, საზოგადოების ნაწილმა ვიცოდით, რომ ივანიშვილი რუსეთმა მოავლინა ხელისუფლებაში. ბევრი ადამიანი ამას ვერ მიხვდა. ამ ხალხს ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ დასავლური ძალა ეგონა. თუ სხვის მოძებნა გადაწყვიტა, აშკარად პრორუსულ ძალებს შეიძლება პუტინი არ დაეყრდნოს.

***– არჩევნებისთვის შესაძლებელია ოპოზიციური ერთობის შენარჩუნება?***

– ოპოზიციის ერთობა და ძალისხმევა არჩევნების დროს აუცილებელია ხელისუფლების რესურსების დასაძლევად. ესენია: არჩევნების გაყალბება, პირდაპირი ძალადობა, მოსყიდვა, დაშინება და სხვა.

ამას რომ დაუპირისპირდე, საჭიროა გაერთიანება და ერთად ბრძოლა. პროპორციული არჩევნების მოთხოვნის საკითხშიც ერთიანობაა.

ალბათ, ოპოზიცია პროპორციული არჩევნებისთვის ისევ იბრძოლებს.

# გიორგი გუგავა: „ვერც ლაშა ჩხარტიშვილს და ვერც ჩვენ გაგვტეხენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– რა თქმა უნდა, ბრძოლა იქნება, რა თქმა უნდა, აქციები იქნება. როდესაც ხელისუფლება ასეთ ამორალურ საქციელს ჩადის და ასეთ ქმედებებს ახორციელებს, შეს ნიშნავს, რომ ის დასასრულთან არის მიახლოებული და არანაირი შანსი არ აქვს, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. რეალურად ეს ხელისუფლების სისუსტის გამოვლინება უფროა, ვიდრე მისი სიძლიერის და შეუძლებელია ასეთი მეთოდებით ძალაუფლება შეინარჩუნოს. ვერც ლაშა ჩხარტიშვილის ნებას გატეხენ ამით და ვერც ჩვენს ნებას. აქედან გამომდინარე ბრძოლა გაგრძელდება.

***– როდესაც ახალი წლის პირველ დღეებშივე ასეთი მეთოდებით გიპირისპირდებიან, ეს თქვენთვის ნიშნავს თუ არა იმას, რომ მთელი წელი და მთელი წინასაარჩევნო პერიოდი ამ რეჟიმში – ბრძოლის, დაჭერების და ა. შ. რეჟიმში იქნება პოლიტიკური ცხოვრება?***

– როდესაც ხელისუფლებას არანაირი კაპიტალი არ აქვს შერჩენილი, ვგულისხმობ საზოგადოების მხარდაჭერას, მის ერთადერთ ხერხად რჩება ის, რომ რეპრესიული რეჟიმი აამოქმედონ. ეს გამოცდილი გვაქვს წინა ხელისუფლებებიდან გამომდინარე. ახლაც ეცდება „ოცნება“, რომ რეპრესიული მექანიზმი აამოქმედოს. გადავიდეს უკანონო დაჭერებზე და მთელი 2019 წელიც, 20 ივნისის შემდეგი პერიოდის მანძილზე ამ რეჟიმშია, მაგრამ შეუძლებელია ჩვენს რეალობაში ეს განხორციელდეს.

დიქტატურის განხორციელება ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია. იმიტომ, რომ ქართველი ადამიანი თავისუფლების მოყვარეა და იმიტომაც მივაღწიეთ ჩვენ დამოუკიდებლობას და შემდეგ შევინარჩუნეთ ეს. მუდმივად გვიწევს მოპოვებული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა უკვე 30 წელია. ვგულისხმობ საბჭოთა კავშირიდან გათავისუფლების შემდგომ პერიოდს, ისტორიულ წიაღსვლებში რომ აღარ წავიდეთ. ვიბრძვით თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის.

აქედან გამომდინარე ეს ბრძოლა იქნება შეუვალი და ხელისუფლებამ, რაც არ უნდა მკაცრი ხელის პოლიტიკა გაატაროს, მას ეს უკან შეუტრიალდება. ერთ დღეს ყველაფერი აუცილებლად ჩამოინგრევა და ჩამოიქცევა.



***– დიდი ოპოზიციური აქციების განახლება როდიდან იგეგმება და თუ არის გეგმაში საერთაშორისო თანამეგობრობასთან მორიგი რაუნდის წარმართვა?***

– ბუნებრივია, ეს არ შეწყდება და წყვეტა არ იქნება ამ მიმართულებით. სხვათა შორის, ამ დღეებში იქნება შეკრება და დაიგეგმება მომავალი სამოქმედო გეგმა. სტრატეგია უკვე ცნობილია და ეს არის ერთი – ეს არის ის, რომ ჩვენ ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვაიძულოთ ხელისუფლება, დაუბრუნდეს თავის დანაპირებს. იმ დანაპირებს, რომელიც ქართველი ხალხის მიერ იქნა მოპოვებული სისხლით. მხედველობაში მაქვს პროპორციული არჩევნები. ეს აუცილებელია იმისათვის, რათა შესაძლებელი იყოს მშვიდობიანი და სამართლიანი გზით, არჩევნების გზით ამ ხელისუფლების დემონტაჟი, რომელიც არის ოლიგარქიული სისტემა და ის არის ჩამომპალი. ეს სისტემა უნდა გავისტუმროთ პოლიტიკურ მოუსავლეთში.

ბუნებრივია, რომ გამოყენებული იქნება ყველა ბერკეტი. ურთიერთობა იქნება საერთაშორისო თანამეგობრობასთანაც, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ჩვენი საზოგადოების აქტიურობაა საჭიროა ხელისუფლების შეცვლის გზაზე. ეს აქტიურობა იქნება იმისათვის, რათა ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ მშვიდობიანი, სამართლიანი პროპორციული არჩევნების გზით გაეცალოს მმართველობას.

# დავით მუმლაძის მკვლელობისთვის რუსთავში ზურაბ ჯღარკავა დააკავეს



პოლიციამ რუსთავში 35 წლის დავით მუმლაძის განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი ზურაბ ჯღარკავა დააკავა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გასული წლის ოქტომბერში რუსთავში მომხდარ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით კიდევ ერთი პირი დააკავეს.

კერძოდ, სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, დაკავებულია თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი პირი – 1983 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ზ.ჯ.

„სამართალდამცველებმა აღნიშნულ საქმეზე 5 პირი მომხდარიდან მალევე დააკავეს, ხოლო ზ.ჯ.-ს დაკავების მიზნით აქტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობდა.

ზ.ჯ-ს მიმართ გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტებზე, სსკ-ის 143-ე და 109-ე მუხლებით მიმდინარეობს, – აღნიშნულია შსს-ის ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ 35 წლის დავით მუმლაძის ცხედარი მდინარე მტკვარმა, რუსთავში 2019 წლის 5 ოქტომბერს გამორიყა. მას სხეულზე 30-ზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ოჯახი დავით მუმლაძეს 1 ოქტომბრიდან ეძებდა.

პოლიციამ დავით მუმლაძის მკვლელობის საქმეზე 7 ოქტომბერს 5 პირი დააკავა, მათ შორის მოქმედი და ყოფილი პოლიციელები.

შსს-ს ინფორმაციით, მუმლაძის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია გიორგი ასათიანი, შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებს დავით მიროტაძეს და მიხეილ ღუბიანურს, ასევე ყოფილ სამართალდამცავს დიმიტრი დუღაშვილს ჯგუფურად თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა ედებათ ბრალად, ხოლო გიორგი გეთაშვილს ბრალი ცრუ ჩვენების მიცემისთვის აქვს წაყენებული.

გარდა ამისა, დავით მუმლაძის მკვლელობაში კიდევ ერთი პირი ზურაბ ჯღარკავაც მონაწილეობდა, რომლის დაკავების მიზნით შსს აქტიურ ოპერატიულ და საგამოძიებო მოქმედებებს ატარებდა.

# წნორში მამაკაცმა დეიდა მოკლა



სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ქალაქ წნორში ახალგაზრდა მამაკაცმა საკუთარი დეიდა მოკლა. პოლიციამ 1993 წელს დაბადებული დამნაშავე ცხელ კვალზე დააკავა.

არსებული ინფორმაციით, დეიდასა და დისშვილს შორის უთანხმოება ფულის გამო მოხდა. ახალგაზრდა მამაკაცმა დეიდას თავის არეში დაზიანება მას შემდეგ მიაყენა, რაც ქალმა ფულის მიცემაზე უარი უთხრა.

მომხდართან დაკავშირებით შსს-მ განცხადება გაავრცელა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად წნორში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნეს, დაკავებულია 1 პირი – 1993 წელს დაბადებული ი.გ.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიმდინარე წლის 2 იანვარს, ქალაქ წნორში, თავის საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი ნახეს 1969 წელს დაბადებული ი.ხ. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც გარდაცვლილის ნათესავია, თავის არეში ბლაგვი საგნით დაზიანებები მიაყენა ი.ხ.-ს, სახლიდან წაიღო ფული, ძვირფასი ნივთები და მიიმალა. ი.ხ. მიღებული დაზიანებებით გარდაიცვალა.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო დანაშაულის ადგილიდან წაღებული ოქროს ნივთები და ფულადი თანხა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.“

# ქობულეთთან ავარიაში 2 თვის ბიჭი და 35 წლის კაცი დაიღუპნენ




ქობულეთის შემოვლით გზაზე ავარიას 2 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათ შორის 2 თვის ბიჭის.

შემთხვევა 1 იანვარს, ღამით მოხდა. 35 წლის კაცი ადგილზე დაიღუპა, ხოლო ბავშვი – სამედიცინო დაწესებულებაში.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

# 82 წლის იზოლდა ხელაძე, რომელიც გაგუდული იპოვეს, პენსიით ცხოვრობდა



82 წლის იზოლდა ხელაძე, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მელექედურში 2 იანვარს გარდაცვლილი იპოვეს, სახლში მარტო ცხოვრობდა და მისი საარსებო მინიმუმი მხოლოდ პენსია იყო.

ცხედარი საკუთარ საძინებელში, სავარაუდოდ გაგუდული, მეზობელმა ნახა.

მეზობლები ამბობენ, რომ ხელაძის ბინიდან ხმაური არ გაუგიათ.

ადგილობრივები არ გამორიცხავენ, რომ მარტოხელა მოხუცის მკვლელობის მიზეზი ყაჩაღობა გამხდარიყო. მეზობლები ერთ საეჭვო დეტალზე ამახვილებენ ყურადღებას და ამბობენ, რომ იზოლდა ხელაძის ეზოში რამდენიმე თვის განმავლობაში იდგა მისი დისშვილის კუთვნილი მერსედესის ტიპის ავტომობილი, მომხდარის შემდეგ კი ეზოში მანქანა არ იდგა.

„კურიერის“ ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ავტომობილი უკვე იპოვეს, თუმცა სად და რა ვითარებაში, უწყებაში ჯერ დეტალებს არ აკონკრეტებენ.

გამოძიება მომხდარზე განზრახ მკვლელობის და ქურდობის მუხლით დაიწყო.

# შს მინისტრის მოადგილემ მეხანძრე-მაშველები დააჯილდოვა და ახალი სახანძრო მანქანების პრეზენტაციას დაესწრო



შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ტექნიკური განახლება გრძელდება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძემ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან – თემურ მღებრიშვილთან ერთად, 30 ახალი, გერმანული წარმოების, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახანძრო მანქანა პირადად წარადგინა, რომლებიც 2020 წლიდან თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ბორჯომში, ზუგდიდში, რუსთავსა და სიღნაღში განაწილდება.

ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

სპეციალურად საქართველოსთვის შექმნილი, მაღალი გამავლობის სახანძრო ტექნიკა გერმანიაში, კომპანია „მაგირუსის“ ქარხანაში, ჩვენი ქვეყნის რელიეფური პირობების გათვალისწინებით აეწყო. ახალი მანქანები მობილურობითა და მანევრულობით გამოირჩევა.

ასევე, აღჭურვილია მაღალი და დაბალი წნევის ტუმბოთი, აქვს წყლის 4,5-ტონიანი ავზი და ქაფის 300-ლიტრიანი ავზი. ავტომანქანებში დამონტაჟებულია ყველა საჭირო სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა, რომლებიც სრულად ავტომატიზებულია, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი მექანიკური მართვა. „მაგირუსის“ სახანძრო ტექნიკა განთავსებულია „ივეკოს“ ფირმის საავტომობილო შასზე.



ქართველი მეხანძრე-მაშველები ახალ სახანძრო ტექნიკასთან მუშაობის და მართვის სპეციფიკას გერმანელი ინსტრუქტორების დახმარებით გაეცნენ და სპეციალური გადამზადება კვალიფიციურ ტრენერებთან გაიარეს.

ამავე ღონისძიებაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ 15 მეხანძრე-მაშველი სხვადასხვა საგანგებო სიტუაციაში გამოვლენილი განსაკუთრებული სიმამაცისთვის დააჯილდოვა.

განსაკუთრებული დამსახურებისთვის, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ახმეტის სახანძრო-სამაშველო განყოფილების თანამშრომელი ლევან ოღაძე, რომელიც 2019 წლის 12 მარტს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, 34 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჯილდო მის შვილს, 6 წლის სანდრო ოღაძეს გადაეცა.

# ათენში ქართველმა ძარცვისას შუშის კარი ჩაამტვრია და გარდაიცვალა



საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, ამბელოკიპის უბანში, ძარცვის მცდელობისას მიღებული ტრავმისგან საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, შემთხვევა 31 დეკემბერს მოხდა, როდესაც გარდაცვლილი და მასთან ერთად მყოფი საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე ბინას ძარცვავდნენ.

უწყების ცნობით, დაწყებულია გადასვენების პროცედურები.

ძარცვაში მონაწილე მეორე პირი დაკავებულია.

– ბერძნული მხარის შეტყობინებით ათენში, ამბელოკიპის უბანში, ორი მოქალაქე ძარცვავდა ბინას, როდესაც მეზობლებმა შენიშნეს და გამოიძახეს პოლიცია. გაქცევის მცდელობისას საქართველოს ერთ-ერთმა მოქალაქემ სცადა შუშის კარის გატეხვა, რის შედეგადაც მიიღო მძიმე დაზიანებები, ის გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში, თუმცა მძიმე დაზიანების გამო, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

საკონსულო უკვე ხაზზეა გარდაცვლილის ოჯახის წევრებთან და დაწყებულია გადასვენების პროცედურები. მეორე მოქალაქე დაკავებულია, – აცხადებენ საგარეო უწყებაში.

# „ივანიშვილს, გახარიასა და კალაძეს უზენაეს სასამართლოში თავიანთი მოსამართლეები ჰყავთ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ჯერჯერობით, ჩვენი ქვეყანა მზად არ იყო მოსამართლეების უვადოდ დანიშვნისთვის. თუ სამართლიანობის პრინციპია, თუ ადამიანს შორის თანასწორობა გვინდა, არც ერთ ინსტანციაში უვადოდ დანიშნული მოსამართლეები არ უნდა გვყავდეს. არც ის ხალხი უნდა დანიშნულიყო, ვისაც პატარა ხინჯი მაინც ჰქონდა და ერთი საქმე მაინც ჰქონდა განხილული, ან ვის მიმართაც ბევრი კითხვა არსებობდა.

სასამართლო ხელისუფლებაში სუფთა, პატიოსანი რეპუტაციის მქონე ადამიანები უნდა მოსულიყვნენ. პირდაპირ გეტყვით, ჯობდა, წარსულის არმქონე, ახალსასწავლებელდამთავრებული მაგისტრი და სასამართლოების გამოცდაჩაბარებული კანდიდატები დანიშნულიყვნენ, ვიდრე გარკვეული ბიოგრაფიის მქონენი. რეფორმა ასე უნდა დაწყებულიყო და სრულიად ახალი ადამიანები უნდა შესულიყვნენ სასამართლო ხელისუფლებაში.

***– ასეთებიც ხომ არიან?***

– კი. მაგალითად, ყოფილი გენპროკურორი შალვა თადუმაძე მაგ ადამიანებს შორის ყველაზე სუფთაა, რადგან ის წინა ცხოვრებაში პროკურორი არასოდეს ყოფილა. შალვა თადუმაძე ჩემთვის ახლა ეტალონი და მნიშვნელოვანია. თადუმაძისთანა ადამიანები უნდა დანიშნულიყვნენ უზენაესში, რომელიც სამართალდამცავ სტრუქტურაში პირდაპირ ადვოკატურიდან მოვიდა და მოსამართლეობაში წლების გამოცდილება არ აქვს.

***– ანუ ისეთი ადამიანები უნდა დანიშნულიყვნენ, რომლებსაც წინა ხელისუფლების დროს მუშაობის გამოცდილება არ აქვთ?***

– მოსამართლეებად არ უნდა დანიშნულიყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არა მხოლოდ წინა ხელისუფლების, არამედ ამ ხელისუფლების დროსაც მუშაობის გამოცდილება აქვთ.

***– შალვა თადუმაძე ხომ მუშაობდა ამ ხელისუფლების დროს?***

– შალვა თადუმაძე ორი წელი პროკურატურაში მუშაობდა. ასე ვთქვათ, ასპარეზზე ახლა გამოვიდა. სწორედ თადუმაძისთანა ადამიანები უნდა დაენიშნათ რაც შეიძლება მეტი. თუ ისინი ვერ შეძლებდნენ, მერე შეცვლიდნენ. ერთი თადუმაძე მირჩევნია ნინო სანდოძესა და სხვებს, რომლებიც დღეს უზენაეს სასამართლოში არიან მოკალათებული უვადოდ და პირდაპირ ადამიანების სისხლი ადევთ ბეჭებზე. თადუმაძესა და სანდოძეებს შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. თუმცა, მაინც მივესალმები, რადგან თადუმაძისნაირი რამდენიმე ადამიანი, ვასაძე და სხვები მაინც არიან უზენაეს სასამართლოში დანიშნული.

***– ოპოზიციას, ნაციონალებს, ვასაძეზეც აქვთ პრეტენზია.***

– მესმის. ოპოზიცია რის ოპოზიციაა, თუ პრეტენზია არ გამოთქვა. მაგრამ დააკვირდით, თადუმაძეზე მხოლოდ აბსურდული პრეტენზია ჰქონდათ. ვერავინ ამბობდა იმას, რომ მას სისხლში ჰქონდა ხელები გასვრილი, ვერავინ ამბობს იმას, რომ სადღაც ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, როგორიც მოსამართლემ, რომლითაც ვიღაცის უფლებები დააზიანა ან გენპროკურორობის დროს რამე ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც რომელიმე მოქალაქის ინტერესები დააზიანა.

თუნდაც ეს ერთი და კიდევ რამდენიმე ადამიანი კარგ ამინდს შექმნიან ქართულ მართლმსაჯულებაში. კიდევ არის საჭირო უზენაესში მოსამართლეები და ჯობია, ისეთი კანდიდატურები იქნენ შერჩეული, რომლებსაც წინა პერიოდებში მუშაობის გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ პროფესიონალები არიან.

***– ოპოზიცია – ძირითადად ნაცმოძრაობა და ევრონაცები – ისეთი ტექსტებით საუბრობენ, რომ 2020 წლისთვის გამარჯვებას შეძლებენ. როგორ წარმოაჩინეს თავი ნაცმოძრაობამ და მისმა განაყოფებმა და საერთოდ ოპოზიციამ 2019 წელს?***

– ძალიან სუსტად. როდესაც პოლიტიკური ორგანიზაციები ვერ ახერხებენ ხალხის მობილიზაციას, ეს უკვე იმ პოლიტიკური ორგანიზაციების კრახია. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ „ქართულ ოცნებაშივე“ მოხდება პოზიცია-ოპოზიციის გადანაწილება. რეალურად, დღეს ოპოზიციურ ძალებს, ნაცმოძრაობასა და ბოკერიას ფრთას არ გააჩნიათ შესაბამისი რესურსი. პოლიტიკური პარტიის მიზანია, რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერები ჰყავდეს.

როდესაც პოლიტიკური ორგანიზაცია 300-500 კაცზე მეტის ორგანიზებას ვერ ახერხებს, ის არის დამწყები პოლიტიკური ორგანიზაცია. ჩემი პოლიტიკური ორგანიზაციისთვის 300-500 მხარდამჭერი კარგი ციფრია. ნაცმოძრაობისა და ყველა იმ პარტიისთვის, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ, მაშინ მას 500 კაცზე მეტი ადამიანის მობილიზაციის უნარი და საშუალება უნდა ჰქონდეს.

***– ლეიბორისტული პარტია, ნინო ბურჯანაძის პარტია და სხვები.***

– 32 სხვადასხვა ჯურის პარტიაა და, რეალურად, 320 კაცი ვერ შეაგროვეს. ამიტომ მათ ნული პერსპექტივა აქვთ. მათი პარტიებისთვის კატასტროფულად ცუდი წელი იქნება. ნაცმოძრაობა ვერაფრით შეძლებს 7-8%-ზე მეტის აღებას. ვფიქრობ, კახი კალაძე 2020 წლის არჩევნებში თავის სიტყვას იტყვის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ლიდერი. კალაძე იქნება „ოცნების“ ქოლგის ქვეშ თუ გახარია-ღარიბაშვილი, ეს კიდევ დასადგენია, თუმცა ღარიბაშვილზე ვერ ვისაუბრეთ. მისი გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში კიდევ რაღაცებზე მიანიშნებს. შესაძლებელია, ღარიბაშვილიც გამოჩნდეს დამოუკიდებელ ფიგურად გახარიასა და კალაძეს შორის დაწყებულ ძალიან ძლიერ დაპირისპირებაში.

***– გახარიასა და კალაძეს დაპირისპირების ნიშნებსაც ვერ ვატყობთ.***

– იმ ადამიანებმა, რომლებიც შიგნიდან ვფლობთ ინფორმაციას, ზუსტად ვიცით, რა ხდება. ყველაფერი თებერვლიდან გამოჩნდება. მე ახალ წლამდეც ველოდებოდი, მაგრამ მათ შეძლეს მობილიზაცია და ახალ წლამდე ეს არ გააკეთეს. ისედაც სხვა გამოსავალი არ არის, ეს აუცილებლად ასე მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა არ განვითარდება.

მე უკვე ვიწყებ 2020 წლის არჩევნებისთვის მოქმედებას და 5 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერების შეგროვებას, რომ ცესკოში დავრეგისტრირდე. ძლიერი ორგანიზაციებიც დაიწყებენ ამას.

***– თქვენ საარჩევნო სისტემის შეცვლას არ ელოდებით?***

– როგორც კონსტიტუციაში იქნება, ისე იქნება. კონსტიტუციაში არის შერეული სისტემა. აუცილებლად იქნება 73 მაჟორიტარი და 77 პროპორციული სისტემით არჩეული. აუცილებლად იქნება 3%-იანი ბარიერი და ბლოკების სისტემა. უბრალოდ, 73 მაჟორიტარის არჩევის გზა სხვადასხვანაირი იქნება. ერთ-ერთი ვარიანტი მეც შევთავაზე პარლამენტს. იანვრის ბოლოს განიხილავენ. კონსტიტუციის ცვლილების გარეშე მხოლოდ ორგანულ კანონში შევა ცვლილება და 73 მანდატი განაწილდება უფრო სამართლიანად, ვიდრე აქამდე ნაწილდებოდა.

# აშშ-მ ბაღდადში ირანელი გენერალი ქასემ სოლეიმანი მოკლა

## ირანი ამერიკას სასტიკი შურისძიებით დაემუქრა



გუშინ, 3 იანვარს, დილით, აშშ-მ ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტში სარაკეტო თავდასხმა განახორციელა, რის შედეგადაც დაიღუპნენ ირანული ელიტური ქვედანაყოფის „ქუდსის ძალების“ ლიდერი, გენერალ-მაიორი ქასემ სოლეიმანი და ერაყელი საბრძოლო დაჯგუფების მეთაური აბუ მაჰდი ალ-მუჰანდისი.

მათ გარდა, კიდევ 5 ადამიანი დაიღუპა.

— აბუ მაჰდი ალ-მუჰანდისისა და ქასემ სოლეიმანის სიკვდილზე ამერიკელი და ებრაელი მტრები არიან პასუხისმგებლები, — აღნიშნა ერაყის „სახალხო მობილიზაციის ძალების“ პრესსპიკერმა აჰმედ ალ-ასაადიმ.

პენტაგონის ცნობით, დარტყმის მიზანი ირანის სამომავლო თავდასხმის გეგმების ჩაშლა იყო.

62 წლის სოლეიმანი „ქუდსის ძალების“ მეთაური 1998 წელს გახდა. მას ლიბანში დაჯგუფება ჰეზბოლას, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მთავრობისა და ერაყში შიიტური დაჯგუფების მხარდაჭერაში ადანაშაულებდნენ.

სოლეიმანი აშშ-ის სამხედრო ბაზაზე განხორციელებული შეტევის უშუალო ორგანიზატორი იყო, რომლის დროსაც ბაზის ერთ-ერთი მოსამსახურე სამოქალაქო პირი დაიღუპა, რამდენიმე ჯარისკაცი კი დაიჭრა.

აშშ-ის დაზვერვას გააჩნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სოლეიმანი გეგმავდა ტერაქტებს როგორც აშშ-ის საელჩოს, ასევე ერაყის საერთაშორისო აეროპორტის წინააღმდეგ.

ირანის უმაღლესმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ განაცხადა, რომ ირანი სასტიკად იძიებს შურს იმ კრიმინალების წინააღმდეგ, რომლებმაც ბაღდადის აეროპორტში სარაკეტო თავდასხმა განახორციელა.

— სიკეთეს ვუსურვებთ მათ, ვინც ჩვენთან აღარ არის, მაგრამ მისი გზა კვლავ გაგრძელდება. სასტიკი შურისძიება ელოდებათ იმ კრიმინალებს, რომლებმაც თავიანთი ბინძური ხელები სისხლით გაისვარეს, — განაცხადა ხამენეიმ.

განცხადება ირანის რევოლუციური გვარდიის ყოფილმა მეთაურმაც გააკეთა.

„ის თავის წამებულ ძმებს შეუერთდა, თუმცა ჩვენ სასტიკად ვიძიებთ შურს ამერიკაზე“, — დაწერა მოსენ რეზაიმ ტვიტერის საკუთარ გვერდზე.

ერაყის პროირანელი პრემიერ-მინისტრის, ადელ აბდულ მაჰდის თქმით, აშშ-ის მიერ სოლეიმანისა და მუჰანდისის მოკვლა ბიძგს მისცემს გამანადგურებელ ომს ერაყში, მთელ რეგიონსა და მსოფლიოში.

— ერაყის სამხედრო მეთაურის მკვლელობა, რომელსაც ოფიციალური პოზიცია უკავია, ერაყის მიმართ განხორციელებული აგრესიაა. წამყვანი ერაყელი პირების მკვლელობა და მასთან ერთად ჩვენი მოძმე სახელმწიფოს წარმომადგენლების ლიკვიდაცია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არის სუვერენიტეტის უხეში დარღვევა, — განაცხადა აბდულ მაჰდიმ.

მან პარლამენტსაც მიმართა და მოუწოდა საგანგებო სესიის გამართვისკენ, რათა გადადგან საკანონმდებლო ნაბიჯები ერაყის „ღირსების, უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის“ დასაცავად.

ჰეზბოლას ლიდერ ჰასან ნასრალაჰის თქმით, აშშ-ის მიერ მოკლული ქასემ სოლეიმანი წინააღმდეგობის ოსტატი იყო.

— ჩვენ გავაგრძელებთ გენერალ სოლეიმანის გზას და აღვმართავთ მის დროშას ყველა ბრძოლის ველზე. კრიმინალი მკვლელებისთვის სათანადო სასჯელის მიგება წინააღმდეგობის ყველა მებრძოლის პასუხისმგებლობა იქნება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, — განაცხადა ნასრალაჰმა.

ირანის ხელისუფლებას, ლიდერსა და ხალხს სამძიმარი გამოუცხადა ჰამასმაც. მისი თქმით, სოლეიმანი იყო ერთ-ერთი უმთავრესი ირანელი სამხედრო ლიდერი, რომელმაც ძირითადი როლი ითამაშა პალესტინის წინააღმდეგობის ბრძოლებში.

ბაღდადის აეროპორტში განხორციელებული ოპერაცია დაგმეს სირიისა და რუსეთის მთავრობებმა და ირანს სამძიმარი გამოუცხადეს.

რუსეთის საგარეო უწყების ცნობით, შეერთებული შტატების ეს „ავანტიურისტული ნაბიჯი გაზრდის დაძაბულობას მთელ რეგიონში“. უწყების თქმით, სოლეიმანი ერთგულად ემსახურებოდა ირანის ეროვნული ინტერესების დაცვას.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკის მოქალაქეებს მოუწოდა, დაუყოვნებლივ დატოვონ ერაყი. აშშ-მ მოუწოდა საკუთარ მოქალაქეებს, თავი შეიკავონ ერაყში აშშ-ის საელჩოს ტერიტორიასთან მისვლისგან.

— ერაყსა და რეგიონში გაზრდილი დაძაბულობის გამო მოვუწოდებთ ამერიკის მოქალაქეებს, სასწრაფოდ დატოვონ ერაყი. ირანის მხარდაჭერილი მილიციის თავდასხმების გამო შეჩერებულია ადგილზე ამერიკის საელჩოს ფუნქციონირება. ამერიკის მოქალაქეები არ უნდა მიუახლოვდნენ საელჩოს ტერიტორიას, — განაცხადეს დეპარტამენტში.

სიფრთხილისკენ მოუწოდა თავის მოქალაქეებს საფრანგეთმაც. საელჩოს გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის მოქალაქეებმა ირანში თავი უნდა შეიკავონ შეკრების ადგილებზე მისვლისა და სურათების გადაღებისგან.

ქასემ სოლეიმანის ლიკვიდაციის ოპერაციას ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ტვიტერის საკუთარ გვერდზე რამდენიმეჯერ გამოეხმაურა.

თავდაპირველად მან აშშ-ის დროშა გამოაქვეყნა, კომენტარის გარეშე.

მეორე ტვიტში კი მან დაწერა, რომ ირანს ომი არასდროს მოუგია:

„ირანს არასოდეს მოუგია ომი, მაგრამ ასევე არასდროს წაუგია მოლაპარაკებებში“.

ტრამპმა მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, ბარაკ ობამასთან გაფორმებული ბირთვული ხელშეკრულება იგულისხმა.

სპეცოპერაციას სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეოც გამოეხმაურა.

მისი თქმით, სოლეიმანის ლიკვიდაციამ „ათობით თუ არა, ასობით“ ამერიკელის სიცოცხლე იხსნა.

## თურქეთის პარლამენტმა ლიბიაში ჯარის გაგზავნას მხარი დაუჭირა



თურქეთის პარლამენტმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ლიბიაში ჯარის გაგზავნას მხარი დაუჭირა. სათანადო კანონპროექტი თურქეთის მმართველმა პარტიამ მოამზადა.

პრეზიდენტმა ერდოღანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პირველ ეტაპზე თურქი სამხედროები ლიბიის ოფიციალური ხელისუფლების ჯარისკაცებს გაწვრთნიან. გამორიცხული არ არის მათთვის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდებაც.

## ნეტანიაჰუმ პარლამენტისგან იმუნიტეტის მინიჭება მოითხოვა



ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ პარლამენტს ოფიციალურად მიმართა და იმუნიტეტი მოითხოვა.

როგორც ცნობილია, ნეტანიაჰუს მიმართ სამი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

— მე უდანაშაულო ვარ, იმუნიტეტი კი იმისთვის მჭირდება, რომ დღევანდელ რთულ ვითარებაში ქვეყანა სრულფასოვნად ვმართო, — თქვა ნეტანიაჰუმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## 30-ე სართულიდან გადავარდნილი მუშა უვნებლად გადარჩა



ჩინეთის ქალაქ გუიჩჟოუში გადაარჩინეს მუშა, რომელიც 30-ე სართულიდან ლიფტის შახტში ჩავარდა. ის დაშავების გარეშე გადარჩა.

მუშამ ლიფტი 30-ე სართულზე გამოიძახა და ვერ შენიშნა, რომ გაღებული კარის მიღმა ლიფტის კაბინა არ იყო. მან შიგნით შეაბიჯა და ჩავარდა, თუმცა ვარდნის შეჩერება მოახერხა, რადგან ლითონის ბაგირს ჩაეჭიდა, მასზე ხელების დაზიანება კი იმის წყალობით არ მიუღია, რომ მკვრივი სამუშაო სახელოები ეკეთა.

მუშამ ვარდნის შეჩერება მერვე სართულის დონეზე მოახერხა. რამდენიმე წუთის შემდეგ მან გაიხსენა, რომ ლიფტის შახტში მობილური კავშირგაბმულობა მოქმედებდა. მან ტელეფონის ამოღება და პოლიციისთვის დარეკვა მოახერხა.

შემთხვევის ადგილზე მისულ მეხანძრეებს დაახლოებით ხუთი წუთი დასჭირდათ მამაკაცის ლითონის ბაგირიდან ჩამოსახსნელად. იმ დროისთვის მას ბაგირზე ჩამოკიდებულ მდგომარეობაში 20 წუთი ჰქონდა გატარებული.

## ჰოლანდიამ არსებობა ოფიციალურად შეწყვიტა

სახელწოდება „ჰოლანდიამ“ ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა, როგორც ნიდერლანდების აღნიშვნამ.

2020 წლის 1 იანვრიდან ქვეყანამ უარი განაცხადა სახელწოდება „ჰოლანდიის“ გამოყენებაზე. კერძო კომპანიები, საელჩოები, სამინისტროები, სკოლები და უნივერსიტეტები ქვეყნის იმიჯის შესაცვლელად მხოლოდ ოფიციალურ სახელწოდებას გამოიყენებენ. აღნიშნული რეფორმა ქვეყანას 200 ათასი ევრო დაუჯდა.



ის, რომ ნიდერლანდი უარს აცხადებდა, საკუთარ სახელწოდებად „ჰოლანდია“ გამოეყენებინა, ინფორმაცია პირველად გასული წლის ოქტომბერში გავრცელდა. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ჰოლანდია უცხოელ ტურისტებში ნარკოტიკებთან და წითელი ფარნების კვარტალთან ასოცირდებოდა. მაშინ წამოაყენეს წინადადება, რომ 2020 წლიდან გამოყენებული ყოფილიყო სახელწოდება „ნიდერლანდები“

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გოჩა სვანიძე: „ახლა უკვე ვიცი, რამდენად ეფექტურად გამოვიყენო დრო“

**დასაწყისი მე-7 გვერდზე**

ბობს. თუმცა, სპორტული კუთხით მათ არ ვეთანხმები. შესაძლოა, მათი შიში იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენი კლუბები რუსულ გუნდებთან წააგებენ. მოდით, სხვანაირად წარმოვადგინოთ ჩვენი ძალა და ვანახოთ მეტოქეს, ვინ არის უფრო ძლიერი. მაგალითად, თუ ქართული კლუბი წააგებს რუსებთან ან რუმინელებთან, მათ მოტივაცია უნდა ჰქონდეთ, რათა უფრო ძლიერები გახდნენ და განვითარება გააგრძელონ.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ზედმეტად პოლიტიზებულია, ვიდრე საჭიროა. პირადად მე კი ვერ ვხედავ ამ ტურნირში მონაწილეობის საშიშროებას — ამ კუთხითაც უნდა განვვითარდეთ.

ასევე, მინდა, ხაზი გავუსვა, რომ კონტინენტურ ლიგაში მონაწილეობაზე გადაწყვეტილება თავად კლუბებმა უნდა მიიღონ და არა სრკ-მ. ვგეგმავთ შეხვედრას კლუბების ხელმძღვანელებთან და თავად მიიღონ გადაწყვეტილება. სრკ არავის არაფერს დააძალებს.

დავამატებ იმასაც, რომ მსგავსი ტურნირის ჩატარების ინიციატორი საქართველო იყო და ამაში მსოფლიოსა და ევროპის რაგბის კავშირების მხარდაჭერა გვქონდა.

***— წინ სრკ-ის პრეზიდენტის არჩევნებია. წახვალთ მეორე წრეზე და მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას?***

— დაახლოებით ვიცი, ვინც იქნებიან ჩემ გარდა კანდიდატები, მაგრამ ჯერ ოფიციალური დასტური არ არსებობს. არჩევნების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ 25 თებერვალს არ გადაშორდება.

***— როგორ აფასებთ თქვენს მუშაობას კავშირის პრეზიდენტის თანამდებობაზე. რამდენი პროცენტით შეასრულეთ თქვენი პროგრამა?***

— ფორმალურად მე და ჩემმა გუნდმა შევასრულეთ დასახული მიზნები, მაგრამ 2-3 წელი წელი კიდევ გვჭირდება, რათა საბოლოო სახე მივცეთ, მატარებელი იმ ლიანდაგზე შევაყენოთ, რომელსაც უკან დასახევი გზა არ ექნება და მხოლოდ წინსვლისთვის იქნება გამზადებული. გამოგიტყდებით, განვითარების ტემპი არ მომწონს. როგორც იცით, პრეზიდენტობამდე მმართველობაში ვიყავი, მაგრამ ეს არის ორგანო, რომელიც აკონტროლებს საერთო კრების გადაწყვეტილების შესრულებას. აი, პრეზიდენტობის დროს კი უამრავ პრობლემას შევეჩეხეთ.

ჩვენს გუნდს ბევრი რამ გამოუვიდა, მაგრამ ყველა — არა. ახლა უკვე ვიცი, რამდენად ეფექტურად უნდა გამოვიყენო დრო და დავასრულო დაწყებული.


## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# გოჩა სვანიძე: „ახლა უკვე ვიცი, რამდენად ეფექტურად გამოვიყენო დრო“

მიხეილ ქორქოლიანი

საქართველოს რაგბის კავშირი არჩევნების მოლოდინშია. ამიტომ ჯერ ბევრი რამ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ბოლო პერიოდში რამდენიმე საინტერესო ფაქტი მოხდა. ამ ყველაფერზე რაგბის კავშირის პრეზიდენტი გოჩა სვანიძე რუსულ მედიასთან საუბრობს.

***— პირველ რიგში, გილოცავთ სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებას. რამდენად ხანგრძლივი იყო მოლაპარაკებები?***

— ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) ყოფილი პრეზიდენტის გია ნიჟარაძის დროს დაიწყო. საერთოდ, უცხოურ ქვეყნებთან ურთიერთობა ჩვენი კავშირის მთავარი ფაქტორია. ჩვენ დიდი ხანი მივდიოდით ამ გზაზე, სადღაც უნდა გაგვეწყვიტა ჯაჭვი და მივსულიყავით იქამდე, რომ ქართული გუნდი (ფრენჩიზა) რომელიმე უცხოურ ჩემპიონატში დაიწყებდა ასპარეზობას. ანალოგიური გზა გაიარა არგენტინამაც.

კონკრეტულად ქარი ქაფზე მოლაპარაკებები უფრო ბოლო 2 წელი მიმდინარეობდა. 2017 წელს სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირს წერილობით მივმართეთ, რომ მათ ჩემპიონატში მიგველო მონაწილეობა. მაშინ უარი გვითხრეს, რადგან თავად კავშირის შიგნით არ იყო ერთსულოვნება. გვითხრეს, მოგვეცადა. მოგვიანებით სამხრეთაფრიკელებმა ეს საკითხი თავად განიხილეს, რადგან ჩვენი სურვილის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ და ჩვენს მზადყოფნაშიც დარწმუნებულნი იყვნენ.

2019 წლის მსოფლიოს თასზე სამხრეთაფრიკელთა წარმომადგენლებს შევხვდით. იქ გვითხრეს, რომ საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია. მოკლედ რომ ვთქვათ, სამხრეთ აფრიკის მხარემ დაპირება შეასრულა და ჩვენც ხელი მოვაწერეთ საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირების თანამშრომლობას სხვადასხვა ეტაპზე.

სამხრეთ აფრიკა რაგბის განვითარების საუკეთესო მაგალითია. ქვეყანა, რომელიც აპარტეიდის რეჟიმის გამო არ მონაწილეობდა საწყის 2 მსოფლიო თასზე, 1995 წელსვე, ტურნირზე პირველივე გამოსვლა წარმატებით დაასრულა და ჩემპიონი გახდა. როგორც ახალზელანდიური რაგბი ითვლება ფენომენად, ისეა სამხრეთაფრიკული რაგბი ჩვენთვის მაგალითი. სამხრეთ აფრიკაში რაგბის საკუთარი ფილოსოფია გააჩნია, რომელიც აგრძელებს განვითარებას და შიდა რესურსის დიდი პოტენციალიც აქვს. იქაური რაგბი ჩვენთან ძალიან ახლოს არის როგორც ხასიათით, ისე სათამაშო სტილით.

***— ფრენჩიზას მონაწილეობა ქარი ქაფზე ქართული რაგბისთვის საჭადრაკო ცხენის სვლაა. რომელ დივიზიონში ითამაშებს ქართული ფრენჩიზა — უმაღლესში თუ პირველში?***

— დეტალები ჯერ არ არის დაზუსტებული, რადგან მე-2 დივიზიონის ტურნირში ცვლილებებს ელოდებიან და საბოლოო ფორმატი დამტკიცებული არ არის. დიდი ალბათობით, ქართული ფრენჩიზა პირველ დივიზიონში ითამაშებს. ეს ლოგიკურიც არის — თუ გინდა მაღალ დონეზე თამაში, ჯერ მოიგე რანგით დაბალი დივიზიონი.

***— ქარი ქაფი ივლისიდან სექტემბრამდე გრძელდება. სად იქნება დაბანაკებული ქართული გუნდი?***

— გუნდი სამხრეთ აფრიკაში იქნება ბაზირებული. თუმცა, ჯერ არ ვიცით, კონკრეტულად სად. რამდენიმე ვარიანტს ვამუშავებთ, რადგან, ფინანსურად სად უკეთესი იქნება ბაზირება, შესასწავლია. ეს არ დაგვიჯდება ძვირი, მაგრამ ვერც მწირი ფინანსებით გამოვალთ. ყველა შემთხვევაში, ამის რესურსი უნდა ვიპოვოთ და ჩვენ ამას შევძლებთ.

***— როგორ დაკომპლექტდება ქართული ფრენჩიზა ამ ტურნირისთვის?***

— გუნდი ძირითადად დიდი ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეებისგან დაკომპლექტება. გუნდს ასევე შეავსებენ საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში მოთამაშე ქართველებიც. ყველა მათგანთან კონტრაქტი 1 წლით გაფორმდება და ყოველი სეზონის შემდეგ გადაიხედება. რამდენიმესთან გაგრძელდება კონტრაქტი, რამდენიმესთან მოგვიწევს დამშვიდობება და მათ ნაცვლად სხვების მოწვევა. უფრო კონკრეტულად და დეტალურად ამ თემაზე მწვრთნელები იმუშავებენ, ხოლო ხელმძღვანელობა ორგანიზაციული საკითხებით იქნება დაკავებული.



***— ვინ არიან ფრენჩიზას მთავარი მწვრთნელის კანდიდატები?***

— მწვრთნელი, დიდი ალბათობით, ქართველი სპეციალისტი იქნება, მაგრამ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ წინ სრკ-ს პრეზიდენტის არჩევნებია და სამწვრთნელო შტაბი მხოლოდ ამის შემდეგ იქნება დამტკიცებული. ახლა ჩემი მხრიდან კანდიდატების დასახელება კორექტული არ იქნება.

***— და რატომ მაინცდამაინც სამხრეთ აფრიკა? უფრო ლოგიკური იქნებოდა, ქართულ ფრენჩიზას საფრანგეთის ჩემპიონატში, ანაც პრო 14-ში ეთამაშა. ამ მიმართულებით არ გიმუშავიათ?***

— ევროპა ტრანსპორტირების მხრივ რამდენიმე საათით ახლოს არის, მაგრამ საათის სარტყლური სისტემით სამხრეთ აფრიკა უფრო გვიახლოვდება.

ფრანგებთან მოლაპარაკებები გვქონდა, მაგრამ მათგან გარანტიები არ მიგვიღია. მეტიც, თუ საფრანგეთის ლიგის ხელმძღვანელობა ქართულ გუნდს მონაწილეობის ნებას დართავდა, ეს იქნებოდა გაუმართლებელი ხარჯი ჩვენი მხრიდან. იქ მონაწილე გუნდის ფორმირებისთვის მოგვიწევდა, ქართული გუნდებისთვის ლიდერები მთელი სეზონით წაგვერთმია. ეს კი პირადად მე არ მინდოდა. როგორ შეავსებდნენ ქართული გუნდები ამ დანაკლისს, როდესაც თავად დიდი ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნიათ? ამიტომაც ეროვნული ჩემპიონატის დონე უფრო დაეცემოდა, ჩვენ კი ერთი გუნდის გამო ასეთ მსხვერპლზე წასვლას არ ვაპირებთ.

არ დავმალავ, ჩვენ განვიხილავდით ამ ვარიანტსაც, მაგრამ კვლავ ვიტყვი, მათგან კონკრეტული წინადადება არ გვქონია და არც უკეთესი სცენარი იქნებოდა. სხვა საქმეა ქარი ქაფი, რომელიც 3 თვეს გრძელდება, შემდეგ კი მორაგბეები საკუთარ კლუბებს დაუბრუნდებიან. ამასთან, ეს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს ფინანსურ ეკონომიასაც გაუკეთებს, რადგან ფრენჩიზის მოთამაშეების ხელფასს ფედერაცია გადაიხდის.

ვფიქრობ, რაც მოხდა, იდეალური ვარიანტია. პირველ რიგში, მორაგბეები მიიღებენ უდიდეს გამოცდილებას; მეორე: ამ გამოცდილების მქონე მორაგბეები თავისას გადასცემენ ეროვნულ ჩემპიონატში.

***— სანაკრებო თემაზე ვისაუბროთ. „ბორჯღალოსნებმა“ ვერ მოახერხეს 2023 წლის მსოფლიო თასზე გასვლა. ჩვენი აზრით, ეს წინ გადადგმული ნაბიჯი ნამდვილად არ იყო. რა ზომები იქნება მიღებული სიტუაციის გამოსასწორებლად?***

— 2019 წლის მსოფლიო თასი ნამდვილად არ იყო წარმატებული როგორც შედეგის მხრივ, ასევე თამაშის ხარისხიდან გამომდინარე. ჩვენ დაგეგმილი გვქონდა მინიმუმ 2 მატჩის მოგება, რათა ვადაზე ადრე მოგვეპოვებინა მომავალი მუნდიალის საგზური. ამასთან, ვაჩვენეთ ზუსტად ის რაგბი, რომელიც იყო 4 წლის წინ, როდესაც საქართველოს ნაკრები ბრძოლისუნარიანი გუნდი კი გახლდათ, მაგრამ მეტი არ შეეძლო. არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ჩვენ ახალ თამაშში სიახლეს ვითხოვთ. ამას კი სჭირდება არა მარტო დრო, არამედ უკეთესი სპეციალისტები ყველა დონეზე — დაწყებული ბავშვთა რაგბიდან, დამთავრებული ნაკრებით.

ეროვნულ გუნდს აუცილებლად სჭირდება ახალი შემსრულებლები. ისინი რომ გამოჩნდნენ, საჭიროა, ბავშვობიდანვე ვასწავლოთ და მოგებებს მივაჩვიოთ. თუმცა, ბავშვობიდანვე არასწორად აღზრდა პრობლემაა არა მარტო საქართველოში, არამედ მე-2 ეშელონის სხვა ქვეყნებშიც. საჭიროა, ეს შეცდომები ძალიან მალე იყოს ლიკვიდირებული. ამიტომაც დიდი ძალისხმევაა საჭირო ბავშვთა და იუნიორთა რაგბისკენ, რათა მივიღოთ ახალი და ხარისხიანი „პროდუქცია“, რომლებიც მწვრთნელების მითითებებს ადვილად გამოიცნობენ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას მივაღწევთ. რამდენიმე წლის შემდეგ გვეყოლება ახალი მოთამაშეები და ქართული რაგბი უფრო ეფექტური იქნება.

არის მეორე მნიშვნელოვანი მომენტი — სათამაშო სტილი უნდა გავხადოთ უფრო შემტევი და ეს ახალმა მწვრთნელმა უნდა გააკეთოს. პირადად მე უკმაყოფილო დავრჩი იმით, რომ მსოფლიო თასზე დაცვითი სტილი ვითამაშეთ. წაგების აღარ უნდა გვეშინოდეს, ასეთი თამაშით კი ვცდილობთ, დიდი ანგარიშით არ წავაგოთ, მაგრამ ვერც ძლიერ ოპონენტებს დავამარცხებთ. ამიტომაც არის საჭირო სტილის შეცვლა.

***— იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ 2015 წლის მსოფლიო თასზე მილთონ ჰეიგმა ყველაფერი მისცა საქართველოს და საკუთარი თავი ამოწურა. და მაინც, მასთან კონტრაქტი გაგრძელდა. არ ნანობთ ამ გადაწყვეტილებას?***

— ეს უფრო თავად მილთონის გადაწყვეტილება იყო. ჩვენ შევთავაზეთ 2 ვარიანტი: გამხდარიყო დირექტორი (პერფორმანს მენეჯერი) ან დარჩენილიყო მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე. მან მეორე არჩია. ჩვენ მივეცით სრული კარტბლანში, რადგან გვინდოდა, ჰეიგს დაემტკიცებინა საკუთარი სამწვრთნელო ამბიცია. 2016-17 წლები იყო მსოფლიო თასის წარმატებული გაგრძელება, რაც მომდევნო წლებში შეწყდა და ნაკრები გადაიქცა კონსერვატიულ გუნდად, რომელსაც ეშინია წაგების.

არ მინდა ჰეიგის კრიტიკა, რადგან ადამიანურად მესმის მისი, რადგან სურდა, თავაწეული წასულიყო, ამიტომაც არჩია დაცვითი სტილი. თუმცა, თუ მარტო საკუთარი სანგრების დაცვით ხარ დაკავებული, წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდები.

ყველა შემთხვევაში მადლობა მილთონს ამ 8 წლის შრომისთვის. ამ დროის განმავლობაში ჩვენ გავიზარდეთ და რაგბის ახლა სხვა თვალით ვუყურებთ. მეტიც, არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც დამოუკიდებლად შეგვიძლია. ახლა ჩვენ უკეთ გვესმის, რა მოთხოვნები და მოლოდინები გვაქვს ახალი მთავარი მწვრთნელისგან.

***— მილთონ ჰეიგის წასვლის შემდეგ ევროპის ერთა თასზე „ბორჯღალოსნებს“ ვინ გაწვრთნის, ან რამდენი კანდიდატია ამ წუთში?***

— ევროპის ერთა თასისთვის გუნდს ჰეიგის თანაშემწე ლევან მაისაშვილი მოამზადებს. მან კარგად იცის ეს გუნდი და ამიტომაც შანსი მიეცემა. რაც შეეხება ახალ მწვრთნელს, ამისთვისაც არჩევნებამდე მოგვიწევს ცდა. თუ გავიმარჯვე, წარმოგიდგენთ ახალ მთავარ მწვრთნელს, რომელიც ისე გადააწყობს ნაკრებს შემტევ გუნდად, როგორც ზემოთ გითხარით.

***— 2016 წელს განაცხადეთ, რომ ქართული გუნდები ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. ამ 3 წლის განმავლობაში სიტუაცია შეიცვალა?***

— გუნდები კვლავინდებურად სახელმწიფოდან ფინანსდება, მაგრამ უკვე ისეთი დიდი თანხით არა. ძალიან კარგია, რომ ადგილობრივი ჩემპიონატის დონემ მოიმატა. ახლა პირველი ექვსეულის ნებისმიერ გუნდს შეუძლია ჩემპიონატის მოგება. პარალელურად, არც ის ვიცით, ვინ დატოვებს ელიტას. კონკურენცია იზრდება, მორაგბეები ოსტატობას იმაღლებენ, თუმცა ჯერ ისეთი ტემპით არა, როგორც გვინდა. ამისთვის კი სწორედ ფრენჩიზა უნდა დაგვეხმაროს — ყველა მორაგბე დაინტერესებული იქნება, იქ მოხვდეს და ქარი ქაფზე ითამაშოს.

რაც შეეხება იმ ფინანსებს, რომლებიც დამატებით გვეძლევა, ეს დაახლოებით 3-4 მილიონი ლარია. მეტზე პრეტენზიაც არ გვაქვს. საჭიროა მისი რაციონალურად გამოყენება. ორჯერ მეტი რომ მოგვცენ, ორჯერ უკეთეს შედეგს ვერ დავდებთ.

ვფიქრობ, უახლოეს წლებში სახელმწიფო უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენს და შევძლებთ, ეროვნული ჩემპიონატი უფრო დავარეგულიროთ, რათა დონე ავამაღლოთ. ეს კი ნიშნავს, რომ მოვიზიდოთ უფრო მეტი მაყურებელი და ინვესტორი. ეს ძალიან რეალისტური გეგმაა.

***— რაგბის მოყვარულთა აზრით, ქართველი მოთამაშეების პოპულარობა საზღვარგარეთ, პირველ რიგში, საფრანგეთში, ეროვნულ კლუბზე მოქმედებს და შინაურ ტურნირს ასუსტებს. ეთანხმებით ამ შეფასებას?***

— არ ვეთანხმები. საფრანგეთშიც არის ლეგიონერებზე ლიმიტი. ვფიქრობ, თუ ყოველწლიურად 50 ან 100 ქართველი მორაგბე წავა ფრანგულ ლიგაში, არც ერთ მხარეს ზიანს არ მოუტანს. როგორ ვხედავ ამ სიტუაციას: იმის პარალელურად, რომ მორაგბეები მიდიან საზღვარგარეთ, გვიჩნდება ახალი შემსრულებლები. თუ ახალი მორაგბეების წარმოების დინამიკა გადააჭარბებს წასულ მოთამაშეებს, მაშინ ყველაფერი სწორად მიდის. თუმცა, ასეთ შემთხვევაში ქართველ მორაგბეებს მოუწევთ საფრანგეთზე უფრო დაბალი დონის ჩემპიონატებში გამგზავრება.

ჩვენ არ ვართ იმდენად მდიდარი ქვეყანა, რომ 20-30 პროფესიული კლუბი „გამოვკვებოთ“. ამ მომენტისთვის 10 კლუბი მაქსიმუმია. თუ შევხედავთ საქართველოში გამოჩენილი შემსრულებლების ზრდის ტემპს, ვფიქრობ, რომ ძალიან მალე არა მარტო საფრანგეთისა და საქართველოს კლუბებს გამოვკვებავთ, არამედ გამოჩნდებიან რუსეთში, პოლონეთში, რუმინეთში და, შესაძლოა, ბელგიასა და პოლონეთში.

***— კონტინენტურ ლიგასაც შევეხოთ. რუსეთის მხარე დარწმუნებულია, რომ ქართული კლუბები ამ ტურნირზე ივასპარეზებენ. სამაგიეროდ, ქართველი გულშემატკივრების უმეტესობა წინააღმდეგია მასში ეროვნული ჩემპიონატის გუნდების მონაწილეობისა. რა აზრისაა ამ თემაზე სრკ-ის ხელმძღვანელობა?***

— ემოციური კუთხით ძალიან კარგად მესმის ქართველი გულშემატკივრების, რადგან არასდროს შევურიგდებით იმ დიდ პოლიტიკას, რომელიც საქართველოს მიმართ არსე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 2. გრძელყელიანი გოგრის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს; 3. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება სკანდინავიურ ქვეყნებში; 4. ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 5. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 12. გადასახადებისგან განთავისუფლებული გლეხი ძველად საქართველოში; 14. ატოლის შიგნით არსებული ზღვის ნაწილი; 15. კამეჩის ნაშიერი; 17. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 18. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში.

**თარაზულად:** 6. წყალხმელეთა ცხოველი; 7. წყნარი ოკეანისპირა პოპულარული კურორტი მექსიკაში; 8. თურქი ჯარისკაცი; 10. ქალაქი ესტონეთში; 11. „შაჰნამეს“ ქართული ვერსია; 13. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 16. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიგა ფენა; 19. მეტროს სადგური თბილისში; 20. სამეფო რეზიდენცია მადრიდში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. შულერი; 2. ციცკა; 3. აზალია; 4. არემჯი; 6. ოკლენდი; 9. კოქსი; 11. ბილაინი; 15. ატკინსონი; 16. სულორი; 17. კარამელი; 19. იდიოტია; 21. ბრონქსი; 22. ჰაშიში.

**თარაზულად**: 5. იუდაიზმი; 7. კრახუნა; 8. ძეწკვი; 10. ჯორჯაძე; 12. ჯიხვი; 13. ონიმა; 14. მასკარადი; 18. ალაპი; 20. ბურახი; 23. რაუნდი; 24. ოშკი; 25. ხორუმი; 26. შინი; 27. ოსტერია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სორენტო; 2. დრამი; 3. ორდინარი; 4. სტუპორი; 5. ვერნისაჟი; 9. აქტივი; 12. ვექტორი; 14. რულადა; 17. დიქტი; 18. ვაგა.

**თარაზულად**: 6. პოპური; 7. ქრისტინე; 8. რეჟიმი; 10. ფორდი; 11. კონვერტორი; 13. კრასნოვი; 16. კენედი; 19. აფროდიტე; 20. ფანტაზია.

## სამგლოვიარო განცხადებები

უახლოესი მეგობარი ამირან მექვაბიშვილი შვილებით — რუსუდანი, ავთანდილი და ფრიდონი ოჯახებით გულისტკივილით იუწყებიან პროფესორ

**ოთარ აბუთიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 იანვარი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8672

ევრო — 3.1918

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7489

100 რუსული რუბლი — 4.6100

## ამინდის პროგნოზი 4 იანვრისთვის




## ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე ქვევრები გაპარტახებულია



ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე მდებარე იმერეთის მეფეების ისტორიული მარანი და უძველესი ქვევრები გაპარტახებულია.

ინფორმაცია და ფოტოები ლაშა ბერეკაშვილმა გაავრცელა:

– ასეთ მდგომარეობაშია იმერთა მეფეების მარანი და ქვევრები ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე.

ამის მიზეზი არის:

1.უპასუხისმგებლობა;

2. მავნებლობა;

3.კულტ. მემკვიდრეობის განადგურება

და ასე უსასრულოდ... როდემდე?

## ბესო ზანგური ბინის ჩუქებას ითხოვს



რუსთაველის თეატრის მსახიობი ბესო ზანგური, რომელიც 5 შვილის მამაა, მთავრობისგან ბინის ჩუქებას საჯაროდ სოციალური ქსელებით ითხოვს:

– ამდენს დაეხმარა მთავრობა, იმდენს მიეხმარა. იმას ის აჩუქა და ამას ეს აჩუქა. 5 შვილის მამას ერთი ბინა რომ მაჩუქოს, არ უნდა, რომ ტყე-ღრეში ვაგდივარ მცირეწლოვნებით?

მე როგორ ვალამაზებ ყოფას, ეს სხვა თემაა, მაგრამ ესაა ყოფა? მაინცდამაინც მათხოვრად უნდა დავეცე, რომ ბინა მეღირსოს? რა დაგაკელით ან მთავრობას, ან მაყურებელს, ან სამეგობროს? სიყვარულის, ერთგულების მეტი რა გამიცია? რას ელოდებით ჩემგან, რომ ინსულტიანი დედით, ვერ დადის, ვერ ლაპარაკობს, 5 შვილით, 980-ლარიანი ხელფასით გთხოვოთ, შემიცოდოთ?

აჰა, დავწერე. ამას არ დაწერს არც ერთი სააგენტო! აბა ვაჟა ექიმს შეეხე? ოპანააა და გწირავენ! გმირები არ გჭირდებათ, იცით, რატომ? არ ხართ თქვენ გმირები. ნუ ხართ ბოროტები, ნუ გრცხვენიათ საქციელის ჩადენა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

შუაღამისას ქმარი ცოლს აღვიძებს და ორ აბსა და ჭიქით წყალს აწვდის.

ცოლი გაკვირვებული ეკითხება:

– ეს რა არის?

– აი წამალი, თავის ტკივილის საწინააღმდეგო.

– კი მაგრამ, თავი არ მტკივა.

– აჰაა!!!...

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რატომ ხარ უხასიათოდ?

– გუშინ მასწავლებელმა ყველა მოსწავლის მშობელს შემოგვითვალა, რომ ბავშვები დღეს სკოლაში ნიღბების გარეშე არ გაგვეშვა...

– მერე, რა პრობლემაა, ეგენი ხომ ყველა აფთიაქში იყიდება.

– ჰო, მაგრამ ყველა ჭკვიანი გამოდგა, ჩემ გარდა. მხოლოდ ჩემი შვილი მივიდა დღეს სკოლაში ნიანგის ნიღბით!

•••

ავტობუსში ერთი პატარა ბიჭი მეორეს ეკითხება:

– ლამდენი წლის ხარ?

– ოთხის და შენ?

– ალ ვიცი.

– სვამ?

– ალა.

– ეწევი?

– ალა.

– გოგოებს დასდევ?

– ალა.

– მაშინ ჯერ სამი წლის ყოფილხარ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გარი ლინეკერი: „ჰენდერსონი ყველაზე დაუფასებელი ფეხბურთელია“



ინგლისური ფეხბურთის ლეგენდამ გარი ლინეკერმა, რომელიც ამჟამად ტელევიზიაში საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, განაცხადა, რომ ჯორდან ჰენდერსონი დაუფასებელი ფეხბურთელია.

ლინეკერმა ეს სიტყვები ლივერპულის შეფილდთან გამარჯვების შემდეგ თქვა:

– ვუყურებ ჰენდერსონის თამაშს და ვფიქრობ, რომ ის არ იღებს იმდენ ქებას, რასაც იმსახურებს. საერთოდ არ მესმის მის მიმართ კრიტიკა. დღევანდელ ლივერპულში ჰენდერსონი ერთ-ერთი საუკეთესოა და მის გარეშე ლივერპულს ძალიან გაუჭირდება.

## ზიდანს ლილის ფეხბურთელები სურს



მადრიდის რეალის მთავარ მწვრთნელს ზინედინ ზიდანს რეალში საფრანგეთში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელის მიყვანა სურს. კერძოდ კი, საუბარია ლილის ორ ფეხბურთელზე – ვიქტორ ოსიმენსა და ბუბაქარ სუმარეზე.

ორივე ლილის წამყვანი მოთამაშეა, თუმცა ისინი საფრანგეთში სერიოზულ ვარსკვლავებად არ ითვლებიან.

ზიდანს ასევე სურს შემტევი ნახევარმცველის ყიდვა, რადგან ედენ აზარი საკმაოდ ხშირად იღებს ტრავმებს.

## რა შემთხვევაში დარჩება ნეიმარი პსჟ-ში



ფრანგული პსჟ-ს ფორვარდი ნეიმარი გუნდში დარჩება იმ შემთხვევაში, თუ პსჟ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას მიაღწევს და მინიმუმ ნახევარფინალში გავა.

ასეთი ინფორმაცია გავრცელდა ფრანგულ პრესაში, თუმცა ნეიმარი ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს.

ნეიმარი წლევანდელ ზაფხულში ბარსელონაში დაბრუნებას ცდილობდა, მაგრამ პსჟ-მ მას ამის საშუალება არ მისცა. ნეიმარს პსჟ-დან წასვლა სწორედ ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებლობის გამო სურდა.

## იურგენ კლოპი: „ჯერ პრემიერ ლიგა არ მოგვიგია“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მის გუნდს ჯერ არ აქვს არაფერი გარანტირებული, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ადგილს 13 ქულით უსწრებს და ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

კლოპის აზრით, ყურადღების მოდუნება არ შეიძლება:

– მეტოქეები მუდმივად ცდილობენ, პრობლემები შეგვიქმნან და ჩვენ მათ ამის საშუალება არ უნდა მივცეთ. მაისის ბოლოს გამოჩნდება, გავხდებით თუ არა ჩემპიონები, მანამდე კი არაფერი არ არის გადაწყვეტილი.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 4 იანვრისთვის

**ვერძი** – ჭეშმარიტებას ეძიებთ და ჩასწვდებით. ეცადეთ, დაიცვათ ზნეობა და მორალი. **კურო** – პრობლემების დაძლევაში თვითდარწმუნება და ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. გამოიჩინეთ დიდსულოვნება. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. ეცადეთ, საყვარელ ადამიანს გული არ ატკინოთ. **კირჩხიბი** – ოპტიმიზმი და შრომისმოყვარეობა დღის დევიზია. ნუ იზარმაცებთ და მომავლის იმედი გქონდეთ. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ნებისმიერი წამოწყება თქვენთვის სასურველ შედეგს გამოიღებს. **ქალწული** – შესაძლოა, ფინანსურად სერიოზულად დაზარალდეთ. დიდი ყურადღება და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **სასწორი** – ცვლილებებს ნუ შეუშინდებით. პირიქით, სასურველიც კია, თქვენს ყოველდღიურობაში კორექტივები შეიტანოთ. **ღრიანკალი** – დღეს უმართლებთ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს. ნებისმიერი გადაწყვეტილება გაბედულად მიიღეთ. **მშვილდოსანი** – ემოციების გამოვლენას ერიდეთ. დღეს თქვენს ტალანტსა და შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მოუთმენლობა, აჩქარება და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება უარყოფით შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. არ გიმართლებთ, რაც თქვენი წინაუხედაობის ბრალია. **თევზები** – ცივი გონება, კრიტიკული განსჯა დღის დევიზია. რომანტიკული პერიოდი მთავრდება.

### 5 იანვრისთვის

**ვერძი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **კურო** – ნუ იაქტიურებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბუნებასთან რაც შეიძლება ახლოს იყავით. **ტყუპები** – მერკურის რეგრესული მოძრაობა ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. დღის პირველ ნახევარში პარტნიორებისგან მცირე უსიამოვნებას ელოდეთ. **კირჩხიბი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ლომი** – ახლობელ ადამიანთან პრეტენზიების გამოხატვას ერიდეთ, თორემ სკანდალს ვერ ასცდებით. უმჯობესია, ეს დღე მარტომ გაატაროთ. **ქალწული** – სერიოზულ პროვოკაციებს თავს ვერ დააღწევთ. საკუთარი აზრის გამოხატვისას ძალიან იფრთხილეთ. **სასწორი** – ბედი შანსს გაძლევთ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. საღამოს ერიდეთ სხვის საქმეებში ჩარევას. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. ნეგატიური აზრები უკუაგდეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **მშვილდოსანი** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – ერიდეთ პროვოკაციებს, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას. საკუთარი პრობლემებით დაკავდით. **მერწყული** – დაწყებული საქმე კონკრეტულ რეზულტატამდე მიიყვანეთ. ბავშვების მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. **თევზები** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## რეზო მიშველაძე 80 წლისაა



ქართველი მწერალი და ნოველისტი რეზო მიშველაძე 80 წლის გახდა.

იგი ამჟამად მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეა. იუბილარი შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, სახელმწიფო, ნიკო ლორთქიფანიძის, მემედ აბაშიძის, დავით აღმაშენებლის, პუშკინისა და ავეტიკ ისააკიანის პრემიის ლაურეატია.

რეზო მიშველაძე ერთ-ერთია იმ 10 ქართველიდან, რომელიც ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი. ქართუ ბანკის სტიპენდიატის ნოველების მიხედვით ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგა სპექტაკლი „არ დამივიწყო“, რომელიც მაყურებელში დიდი მოწონებით სარგებლობს.

## „დიდი სცენის“ მონაწილემ შეყვარებულს ხელი სთხოვა



მუსიკალური შოუს „დიდი სცენის“ ერთ-ერთმა მონაწილემ, 21 წლის ნიკა გოგუაძემ, თავის რჩეულს, მარიამს, ხელი პირდაპირ შესარჩევი კონკურსის დროს სთხოვა.

ჟიურისთვის ნიკამ ელვის პრესლის ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა შეასრულა. მას ჟიური დასთანხმდა და სცენაზე შეყვარებულიც მიიპატიჟა, სცენაზე ასულ მარიამს კი ნიკამ დაუჩოქა, ბეჭედი მიართვა და ხელი სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. „დიდი სცენის“ ჟიურიმ და წამყვანებმა კი ნიკასა და მარიამს უმღერეს.

## ოთარ ტატიშვილი ტელევიზიებს ცისანა ტატიშვილის დავიწყების გამო აკრიტიკებს



კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი ქართულ ტელევიზიებს უძლიერესი ქართველი ოპერის მომღერლის ცისანა ტატიშვილის დავიწყების გამო საყვედურობს:

– უდიდესი ქართველი სოპრანოს, სსრკ-ის სახალხო არტისტის, სახელმწიფო, რუსთაველის, ზაქარია ფალიაშვილის პრემიების ლაურეატის ცისანა ტატიშვილის დაბადების დღეა.

ბიძინა კვერნაძემ თქვა ერთხელ: ცისანასნაირი პლანეტაზე არ არსებობსო.

გიგა ლორთქიფანიძემ – ასეთები 100 წელიწადში ერთხელ თუ იბადებიანო.

სხვების ჩამოთვლას აღარ შეუდგები, მგონი, არ სჭირდება წარდგენა, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სცენაზე ან მოუსმენია, შეუძლებელია, არ იცოდეს მისი ფასი.

სამწუხაროა, რომ დღემდე არც ერთ ტელევიზიაზე და მათ შორის არც საზოგადოებრივ არხზე არ გაკეთებულა მისთვის მიძღვნილი სერიოზული გადაცემა. ვგულისხმობ გარდაცვალების შემდეგ. სირცხვილია. ნათელში იყოს მისი სული!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 2. საჭმელი სოკო; 3. სარკაზმული პუბლიცისტური ნაწარმოები; 4. ძველებური სატუსაღო; 6. ფოტოჟურნალისტების მეტსახელი; 8. სისხლძარღვებში გაჩენილი სისხლის შენადედი; 11. ებრაული სამლოცველო; 12. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 16. პატარა საცხოვრებელი სახლი ჩინეთში; 17. მუსლიმანური კალენდარი; 18. სპირტიანი სასმელი.

**თარაზულად:** 1. მარგალიტის ყელსაბამი; 5. რამის მიმდინარეობის, განხორციელების სისწრაფე; 7. მხარე ბელგიაში; 9. ხეხილის ბაღი; 10. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთით შეზავებული სახატავი საღებავი; 13. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 14. დამოუკიდებელ ფერმერთა გაერთიანება, დასახლება ისრაელში; 15. კურორტი ბორჯომის რაიონში; 19. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 20. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 21. მარტივი უმოტორო საფრენი აპარატი; 22. რძის პროდუქტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

